Stan. Mp. Djobadze
My best to you & L.
April 2. 8
1978
825/2
1978

თავისუფალი ტრიბუნა

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

Djobadze's Library

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

N20 PARIS MARS 1978 მარტი პარიზი N20

შინაარსი

2 ეროვნული ვლოვის წლისთავი
მოწინავის მაგვრად

4 ჟურნალი „საქართველოს მოამბე"
„საქართველოს მოამბე" №1-ს მოწინავე

5 ადამიანის უფლებათა დაცვის საინფორმაციო ჯგუფი საქართველოში
„საქ. მოამბე" №1

6 საქ. ისტორიის სწავლება ქარ. სკოლებში
„საქ. მოამბე"№1

9 სამხ. აკადემიის 1 ფაკ. რუსიფიკაცია
„საქ. მოამბე" №1

11 უბრალო არითმეტიკა
ყარამან ლაბაძე (საქ. მოამბე №1)

17 ბნელეთის ბრძოლა აღდგომის წინააღმდეგ
მერაბ კოსტავა (საქ. მოამბე"№1)

22 რელიგიის მდგომარეობა საქართველოში
რუსული ჟურნალი „ვესტნიკი"№122

24 სამგლოვიარო განცხადებები

2 ქარ. თვითკაძოცემა და მისი ავტორები
წინასიტყვაობა

4 1970 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი
„საქ. მოამბე"№1

5 ზ. გამსახურდიას განცხადება პრესისადმი
„მიმდინარე ამბების ქრონიკა" №45

7 თბილისის სა. უნივერსიტ. გარუსების ცდები
„საქ. მოამბე" №1

9 ხანძრები და დივერსიები საქართველოში
გედეონ თვალთვაძე („საქ. მოამბე"№1)

14 ცნობები კგბ-ს „საქმიანობაზე"
ზვიად გამსახურდია („საქ. მოამბე"№1)

18 „მავნე ჩვეულებებთან და ტრაფ. ბრძ.ნილებით
თეიმურაზ ჯანელიძე („საქ. მოამბე"№1)

23 საქ. პატრიარქის დავით მე-5-ს გარდაც.

23 საქ. ახალი კათალიკოს - პატრიარქი

24 შემოსავალ - გასავლის ანგარიში

მაშ გაგიმარჯოთ

გარედ თოვლია,
ქარი და ყინვა.
გულში თაკარა
ცეცხლი მინთია.
მე ყველა მიყვარს
დაკნაცკლები

ვინც მამულისთვის
განაწირია

* * * *

მაშ, გაგიმარჯოთ!
თქვენ ჭაბუკებო,
ვაჟკაცობაში

ხართ უნაპირო
თავისუფლების
მოსპოკებლად
ბრძოლა ყოფილა
მუდამ საქმირო.

ყარიბი

RESPONSABLE: GEORGES TSERETELI. 8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS; TEL: 607.08.14

Edition hors commerce

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული გლოვის წლისთავი

წლის ყველა თვეთა შორის თებერვალი და მარტი განსაკუთრებით არ მიყვარს. არა-მარტო იმის გულისთვის, რომ ამ პერიოდის მსწრაფლცვალებადი, სუსხიანი და ნოტიო ამინდი ცუდ ხასიათზე მაყენებს და ფიზიკურ ტკივილებს მანიჭებს, არამედ კიდევ უფრო მეტად იმისთვის, რომ ამ დროსთან დაკავშირებულია ჩვენი ეროვნული ყოფის ყველაზე ტრაგიული დღეები, დღეები საქართველოს სახელმწიფო საზღვრების უხეში დარღვევის, ლენინის ბოლშევიკური რუსეთის ჯარების შემოჭრის, უთანასწორო ბრძოლების, ხუთი კვირე რომ გაგრძელდა და საქართველოს დამარცხებით, მისი როგორც სახელმწიფოს მოსპობით რომ დამთავრდა.

მას შემდეგ, ამ 57 წლის განმავლობაში ჩვენი ხალხი განიცდის კატორღულ შრომას, შიმშილს, სიშიშვლეს, ეროვნულ ჩაგვრას და გარუსების მუდმივ საშიშროებას. ქართველ ხალხს ხან ციხეებში და შრომის ბანაკებში ხოცავენ, ხანაც რუსების სამშობლოს დაცვაში.

როგორ დაგვემართა ეს უბედურება? როგორ დავკარგეთ დიდი და ხანგრძლივი რუდუნებით მოპოვებული თავისუფლება? ამის მიზეზი სამ მთავარ ფაქტორში უნდა ვეძებოთ. პირველია ბოლშევიკური რუსეთის ყოველგვარ საერთაშორისო მორალს მოკლებული მოქმედება. სიფრთხილის მოსადუნებლად ჯერ იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, და შემდეგ, სულ მაღე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ომის გამოუცხადებლად შემოუსია ჯარები ანექსიის მიზნით. მეორე, და პირველზე არანაკლები, მიზეზი იყო თვით ჩვენივე სისხლ - ხორცი ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც შემოუძღვენ მომხდურ მტერს, მონაწილეობა მიიღეს საკუთარ დედა-სამშობლოს დამხობაში და თავიანთი უგუნური მოქმედებით, საერთაშორისო საზოგადოების თვალში გამართლება მისცეს ბოლშევიკურ რუსეთის იმ დროისათვის უმაგალითო საერთაშორისო ბანდიტიზმს. მესამე მიზეზი ჩვენი ეროვნული კატასტროფისა იყო მისი მარტოობა. საქ. სახელმწიფოს კრიტიკულ მომენტში არ აღმოაჩნდა არცერთი ნამდვილი მეგობარი სახელმწიფო რომ გამოჩომაგებოდა, რომ საქმით და არა სიტყვით დახმარებოდა. ჩვენმა უშუალო მეზობელმა თურქეთმა პირიქით მდგომარეობით სარგებლობა მოინდომა და, ადრე საბჭოთა მთავრობის მიერ მისთვის დათმობილ, ბათუმის ოლქის ოკუპაციას შეეცადა. ბრძოლის ველზე რუსეთის კოლოსის პირისპირ მარტოდ დარჩენილი პატარა საქართველო არ შეიძლებოდა არ დამარცხებულიყო, თუმცა სხვა პირობებში იქნებ უფრო მეტი წინააღმდეგობის გაწევა შეიძლებოდა.

ცოტა ხნის წინად, გამოჩენილმა ფრანგმა სახელმწიფო მოღვაწემ განაცხადა: „ერმა რომ დამოუკიდებლობა მოიპოვოს ის ამის ღირსი უნდა იყოს, ხოლო ის რომ შეინარჩუნოს საჭიროა მუდმივი და ერთობლივი ბრძოლაო“. ბრძნული სიტყვებია, რომლებიც საქართველოს მდგომარეობას უფრო ეხმიანება ვიდრე საფრანგეთისას.

არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომ საქართველოს მომავალზე იმედი დავკარგოთ. ქართველი ხალხი, ისე როგორც წარსულში, დღესაც განაგრძობს მტკიცე წინააღმდეგობას დამბყრობელთა მიმართ. ეს წინააღმდეგობა ჩანს ჩვენი ქვეყნის ყოველ სასიცოცხლო უჯრედში. ქართველ ერის სისხლსა და ხორცში გამჯდარია ჯანსაღი პატრიოტიზმი და ქართული ცივილიზაციის თვითმყობადობის ურყევი რწმენა.

შეუძლებელია მეოცე საუკუნის ისტორიამ ქართველ ხალხს უარი უთხრას იმ სიკეთეზედ, რომლითაც მან უხვად, და ხშირად დაუმსახურებლადაც, დააჯილდოვა ათეულობით ისეთი ხალხები, რომლებსაც წარსულში არასოდეს არ ჰქონებიათ არც ეროვნული სახელმწიფო არც განსაკუთრებული ეროვნული კულტურა. მაგრამ მაინც ისტორიის უზენაესი ჯილდო რომ დავიმსახუროთ საჭიროა იმედსა და რწმენას მიუსადაგოთ მუდმივი და ერთობლივი, დროსთან და პირობებთან შეხამებული ეროვნული ბრძოლა.

ქართული თვითგამოცემა და მათი ავტორები

თავ. ტრიბუნის ეს ნომერი თითქმის მთლიანად დათმობილი აქვს ქართულ თვითგამოცემას, კერძოდ კრებულ „საქართველოს მოამბედან“ ამოღებულ დოკუმენტებს.

ჩვენ გვგონია, რომ ემიგრაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამშობლოს უტყუარ ამბების გაგებას, რისთვისაც დაუფასებელი მნიშვნელობა აქვთ სწორედ ამ არა-ოფიციალურად გამოცემულ ლიტერატურას. რა თქმა უნდა, შეცდომები იყოს შემთხვევით გაპარული, მაგრამ როგორც წესი ისინი ხასიათდებიან დიდი ინტელექტუალური პატიოსნებით. ბევრი

მასშიც შეიძლება

- ზვიად გამსახურდია



მერაბ კოსტავა

ვიქტორ რცხილაძე

114

ამბავი თავიდან რომ შეუძლებლად გვეჩვენებოდა შემდეგი შემოწმებით მათი სინამდვილე დადასტურდა. ასეთი იყო მაგალითად ცნობები საქ. მართლმადიდებელ ეკლესიაზე და წამების მაგალითები საქ. ციხეებში.

გარდა მკითხველების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა, ამ თვითგამოცემის მასალების დაბეჭდვის დროს ჩვენ გვამოძრავებს განზრახვა, რომ ეს იშვიათი მოწმობები დღევანდელი საქართველოს ეროვნულ დავიცვათ და მომავალს შემოვუნახოთ, დაბოლოს, მთელი ამ იშვიათი ლიტერატურის მთავარი ავტორები ზ. გამსახურდია, ძ. კოსტავა, ვ. რცხილაძე(დააპატიმრეს **25** იანვარს) ვ. ფაიღოძე და გრიგოლ გოლდშტეინი(დააპატიმრეს **17** იანვარს) ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან და ფიქრობენ რომ მათ მაინც „გაასამართლებენ". თქმა არ უნდა, მთელი ჩვენი სიმპათიები მათ მხარეზეა მათთვის მეტად მძიმე გამოცდის გრძელ წუთებში. ჩვენ გვგონია, რომ გაცილებით უკეთესია მათ მივცეთ ლაპარაკის საშუალება თავიანთი ნაწერების მიხედვით, ვიდრე ჩვენ ვლაპარაკოთ მათზე. ვწუხვართ, რომ თავ. ტრიბუნის მოცულობა, მისი მატერიალური და ტექნიკური საშუალებები ნებას არ იძლევა ქართ. თვითგამოცემის ლიტერატურის მთლიანად გამოცემისას. იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ზოგიერთ და ისიც მოკლე სტატიებით. მიუხედავად ამ ნაკლისა, თ.ტ. წარსულში არამცირე ადგილს უთმობდა მიღებულ მასალების გადმობეჭდვას, მოკლე შინაარსის გადმოცემას ან შენიშვნებს, ასე, რომ ვინც ჩვენ რეგულიარულად გვკითხულობს არ შეიძლება მხედველობიდან გამოეპაროს თუ რა დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული ქართული თვითგამოცემის ლიტერატურის ავტორებს.

ქარ. თვითგამოცემის მასალებმა ჩვენამდე მოღწევა იწყეს **1974** წლის ბოლოს. თავიდან ცალკე წერილების სახით, უავტორებოდ. შემდეგ ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას ხელმოწერილი. უფრო გვიან კი მოვიდა ლიტერატურულ - პუბლიცისტური ხასიათის კრებული **„ოქროს საწმისი"**, მხოლოდ პირველი ნომერი და პირველი და მეორე ნომერი „საქართველოს მოამბე", რომელიც არის პუბლიცისტური ხასიათის კრებული. მათი რედაქტორია ზვიად გამსახურდია და თანამშრომლები: მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე, ვაღენტინა ფაიღოძე, გედეონ თვალთვაძე, ყარამან ლაბაძე და სხვები. ეს კრებულები ბეჭდვითი ორგანოებია ადამიანის უფლებათა დაცვის და ჰელსინკის შეთანხმების გატარების სამეთვალყურო საინიციატივო ჯგუფისა საქართველოში და როგორც „საქ. მოამბეს" პირველ ნომრის მოწინავეშია აღნიშნული, მისი მიზანია ქართველი ხალხისათვის ისეთი საჭირო ინფორმაციის მიწოდება რომელსაც მაღავს ტოტალიტარული სისტემის ხელისუფლება.

გამსახურდიას და კოსტავას დაპატიმრების წინ, საქართველოს ოფიციალურმა პრესამ მკაცრად გაიღაშქრა მათ წინააღმდეგ. სხვა „ცოდვებთან" ერთად, ზ. გამსახურდიას ბრალი დადვა უცხოეთის დაზვერასთან და ემიგრაციასთან კავშირში. ჩვენ არაფერი შეგვიძლია ვთქვათ პირველ ბრალდებაზე, რადგანაც ძალიან შორს ვიმყოფებით ნებისმიერ ქვეყნის სადაზვერო ორგანოების პორტ-პაროლობიდან, მაგრამ ინსტიქტიურად გვრძნობთ, რომ ის ისევე მოკლებულია სიმართლეს როგორც მეორე ბრალდება, რადგანაც ემიგრაციაში არსებობს პოლ. ოგანიზაცია რომელიც დავალებებს გადასცემდეს სამშობლოში. (აქ ადგილის უქონლობის გამო, ამ საკითხზე შემდეგ ნომერში ვისაუბრებ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „საქართველოს მოამბე“

საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემისათვის დამახასიათებელია ხელისუფლებისათვის არასასურველი ინფორმაციის დამალვა ადმინისტრატიულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ჟურნალ „საქართველოს მოამბე“ მიზნად ისახავს ქართველ ხალხისათვის ინფორმაციის მიწოდებას როგორც საერთაშორისო ეროვნული და სოციალური პრობლემების, ისევე საბჭ. კავშირში შექმნილი საერთო ვითარების გამო. ქვეყნდება საბჭოთა და საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები, აგრეთვე ისეთ მასალები, რომელიც დიდ მნიშვნელობა აქვთ საქართველოს დღეანდელ მდგომარეობის სწორ შეფასებისათვის - სასამართლოს და პროკურატურის დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაცულია დედნის სტილი და ორთოგრაფიაც კი. ჟურნალ არ ღებულობს შემწირველებს პოლიტიკური მთავრობისმიერი და სხვა ოფიციალური ორგანიზაციებისაგან. ჟურნალის გამოსვლას მიესალმენ ცნობილი რუსი დისიდენტები: ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ა. სახაროვი და მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი ა. ამალრიკი. ა. სახაროვმა აღნიშნა, რომ ჟურნალის გამოსვლა უაღრესად დროულია, ვინაიდან საქ. დღეანდელ ვითარების შესახებ ნამდვილი ინფორმაციის მიღება ფრიად საშიშია როგორც ჩვენში, ისე მთელ მსოფლიოში.

--- ---- --- ---- ----

1970 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი

ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრინციპები

გამომდინარე იმ რწმენიდან, რომ ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის პრობლემა ერთ-ერთ მნიშვნელოვანია ცხოვრებისათვის ხელმძღვანელი პირობების შესაქმნელად, მშვიდობის გასამტიცებლად და ხალხთა შორის ურთიერთგაგების განსავითარებლად, და რომ იგი ხელშეუფალ სფეროა თანამედროვე კულტურისა;

ცდილობენ რა ხელი შეუწყონ საერთაშორისო მისწრაფებებს ადამიანის უფლებათა იდეის პ პროპაგანდისათვის და უფლებათა უზრუნველყოფა კონსტრუქტიული გზების მოძებნისათვის;

აღნიშნავენ რა სსრკ-ს მოქალაქეთა შორის უკანასკნელ წლებში გაზრდილ ინტერესს კულტურის ამ სფეროსადმი, გამოიქვამენ რა კმაყოფილებას საბ. კავშირში *1958* წლიდან უფლებათა სფეროში მიღწეულ წარმატებებზე და ისწრაფიან რა კონსტატიურად შეუწყონ ხელი სახელმწიფოს შემდგომ ცდებს უფლებათა დაცვის გარანტიის უზრუნველყოფად სოციალისტური წყობის შესაბამისი სპეციფიკისა და საბჭოურ ტრადიციათა სპეციფიკის გათვალისწინებით, ა. დ. სახაროვმა, ა. ნ. ტვერდოხლებოვმა და ვ. ნ. ჭალიძემ გადწყვიტეს ერთად განაგრძონ მოღვაწეობა ადამიანის უფლებათა კომიტეტის სახელით ამ პრობლემის კონსტრუქტიული შესწავლისათვის შემდეგი პრინციპების საფუძველზე: *1.* ადამიანის უფლებათა კომიტეტ წარმოადგენს შემოქმედებით ასოციაციას, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს კანონების შესაბამისად. კომიტეტის ნამდვილ პრინციპებით და რეგლამენტით. *2.* კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ კომიტეტის მიერ დაშვებული ნამდვილ პრინციპებით და რეგლამენტით, ამავე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, რომლებიც არ ითვლებიან ისეთ პოლიტიკურ პარტიების ან სხვა ორგანიზაციათა წევრებად, რომელიც გააჩნიათ სახელმწიფოს მართვის პრეტენზია, აგრეთვე იმ ორგანიზაციათა წევრებად, რომელთა პრინციპები უშვებენ ორთოდოქსალურ ან ოპოზიციურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. რომელთაც არ განეზრახავთ კომიტეტში მოღვაწეობა პოლიტიკური მიზნებით. *3.* კომიტეტის მოღვაწეობის მიზანია: კონსტატიული ხელის შეწყობა სახელმწიფო მმართველობით ორგანოებისათვის ადამიანის უფლებათა გარანტიის შექმნისა და გამოყენებისათვის კომიტეტს ან მთავრობის დაინტერესებული ორგანოების ინიციატივით. შემოქმედებით დახმარება იმ პირებისადმი, რომელნიც ადამიანის უფლებათა პრობლემის თეორიულ ასპექტთა კონსტრუქტიულ კვლევასა და სოციალისტურ საზოგადოებაში ამ პრობლემის სპეციფიკის შესწავლას ეწევიან, კანონმდებლობით განმანათლებლობა, სახელმძღვ პროპაგანდა საერთაშორისო და საბჭოთა სამართლის დოკუმენტებისა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. *4.* თეორიული კვლევა და კონსტრუქტიული კრიტიკა საბჭოთა სამართალში პიროვნების თავისუფლებისა და უფლებრივი გარანტიებისა.

კომიტეტ ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ჰუმანური პრინციპებით, გამომდინარეობს საბჭოთა სამართლის სპეციფიკის აღიარებიდან ითვალისწინებს რა გამოშუშავებულ ტრადიციებს და სახელმწიფოს რეალურ სიძლიერეებს ამ სფეროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. კომიტეტი მზადაა შემოქმედებითი კონტაქტი იქონიოს საზოგადოებრივ და სამეცნიერო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო არამთავრობისმიერ ორგანიზაციებთან, თუ ისინი თავიანთ მოქმედებაში გამომდინარეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებიდან და არ ისახავენ მიზნად საბჭოთა კავშირისათვის ზიანის მიყენებას.

მოსკოვი, *4.11. 1970.*

აკ. ა. დ. სახაროვი, ა. ნ. ტვერდოხლებოვი, ვ. ნ. ჭალიძე.

დაახლოებით იმავე პერიოდში მოსკოვში ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა დაცვის საინციატივო ჯგუფი, რომლის წევრები არიან ვ. ბორისოვი, ტ. ველიკანოვა, ა. ლავუტი, ს. კოვალევი, ტ. ხოდოროვიჩი და სხვანი. მოსკოვში *1968* წლიდან გამოდის არაოფიციალური ჟურნალი „მიმდინარე ამბების ქრონიკა“, რომელიც ასახავს ადამიანის უფლებების დასაცავად წარმოებული ბრძოლის სურათს საბჭოთა კავშირში.

--- --- --- --- ---

Djobadze's Library

ადამიანის უფლებათა დაცვის საინციატივო ჯგუფი საქართველოში

ადამიანის უფლებათა დაცვის საინციატივო ჯგუფი საქართველოში ჩამოყალიბდა *1974* წელს. ჯგუფი მიზნად ისახავს შესწავლას გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ ადამიანის უფლებათა და ძირეულ თავისუფლებათა განხორციელების სხვადასხვა ასპექტებისას ჩვენს ქვეყანაში. მისი მიზანია აგრეთვე ბრძოლა ამ უფლებათა დარღვევის ან დაკნინების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ.

ჯგუფის წევრებია: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვანი.

ზვიად გამსახურდიას განცხადება პრესისადმი

25 მარტს, *1977* წ. ზვიად გამსახურდიამ გააკეთა შემდეგი განცხადება პრესისათვის: ოცდასამ და ოცდაოთხ მარტს, თბილისის გაზეთებში „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნდა ანონიმური სტატია „ვის აძღევს ეს ხელს“, რომელშიც დახასიათებულია რადიოსადგურ „თავისუფლების“ საქმიანობა. ამ რადიოსადგურის წინააღმდეგ ღანძღვა-გინების შემდეგ, წერილის ავტორი თუ ავტორები მეც მახსენებენ და ცდილობენ ჩემი საქმიანობა დაუკავშირონ რადიოსადგურ „თავისუფლებას“. ისინი კერძოდ ამტკიცებენ, რომ თითქოს ვსარგებლობ ამ რადიოსადგურით სახელმწიფო უშიშროების კომიტეტზე ცილისწამების გასავრცელებლად. ჩანს მათ მხედველობაში აქვთ ის ფაქტი, რომ ეს რადიოსადგური ხშირად გადასცემს ხოლმე ჩემს წერილებს და განცხადებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია თვითგამოცემაში, დასავლეთის პრესაში და აგრეთვე ჩემს რედაქტორობით გამომავალ ჟურნალებში-„ოქროს საწმისი და „საქართველოს მოამბე“. წერილის ავტორი თუ ავტორები იყენებენ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ მე პირადად ვიცნობ ამ რადიოსადგურის ერთერთ თანამშრომელს, ქართველ ემიგრანტს ნუგზარ შარიას. აყალბებენ რა სინამდვილეს, რაც ჩვეულებრივი მეთოდია საბჭოთა პრესისათვის, ამტკიცებენ აგრეთვე, რომ მე თითქოს გამოვდივარ სიტყვებით და განცხადებებით მიუნხენიდან, მაშინ როდესაც კატეგორიულ უარს მეუბნებიან საზღვარგარეულ გამგზავრებაზე ტურისტადაც კი. სახ. უშიშროების კომიტეტის ჟურნალისტები იქამდეც მივიდნენ, რომ განაცხადეს, რომ რადიოსადგური „თავისუფლება“ უხვად მიხდის ფულს.

მსოფლიოს წინაშე ვაცხადებ, რომ არასოდეს არ გამიგზავნია მასალები რადიოსადგურ „თავისუფლებისათვის“, და თუ რადიოს თანამშრომლებმა მიიღეს საბჭ. კავშირში და საზღვარგარეულ გავრცელებული თვითგამოცემა, რომელშიც დაბეჭდილია ჩემს მიერ დაწერილი მასალები, ეს მოხდა ჩემგან დამოუკიდებლად. აგრეთვე, ჩემი მიწერ-მოწერა თუ ტელეფონით საუბარი ნუგზარ შარიასთან ეხებოდა მხოლოდ ისეთ საკითხებს, როგორიცაა მაგალითად მიუნხენის და ლონდონის უნივერსიტეტების მიპატიჟება, ქართველ ემიგრანტების მიერ მამაჩემის, კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნის აღნიშვნა და ა.შ.

ზემოდ ხსენებული ბინძური ცილისწამება ხელისუფლებას ამჟამად ესაჭიროება იმისათვის, რომ ნიადაგი მოამზადოს ანგარიშის გასასწორებლად ჰელსინკის ხელშეკრულებათა შესრულებისათვის ხელშემწყობი ქართული ჯგუფის წევრებთან, ჯგუფისა, რომელშიც შევდივარ მე და ჩემი მეგობრები. როგორც ამ ბოლო ხანებში დადასტურდა, ეს არის სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო უშიშროების კომიტეტის მოწონებული მეთოდი.

სასტიკ პროტესტს ვაცხადებ ზემოდხსენებული პასკვილის გამოქვეყნების წინააღმდეგ და მოვუწოდებ ყველა კეთილ ნების ადამიანს აღიმაღლოს ხმა სახ. უშიშროების კომიტეტის ცილისწამების და თვითნებობის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში.

საქართველოს ისტორიის სწავლება ქართულ სკოლებში

როგორც ცნობილია *1957-58* წლებში მოსკოვმა დასვა საკითხი ნაციონალურ რესპუბლიკათა სკოლებში ეროვნული ისტორიის ცალკე საგნად სწავლების გაუქმებისათვის. ეროვნული ისტორია უნდა ესწავლებიათ სსრკ-ს ისტორიასთან ერთად, ფაქტიურად რუსეთის ისტორიას რომ წარმოადგენს, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ასე რომ ცხრილში, ჟურნალსა თუ დიპლომში აღარ აღინიშნებოდა საქართველოს ისტორია. ამჟამად საქართველოს ისტორიას განკუთვნილი აქვს *65* საათი და მას ასწავლიან მაღალ კლასებში ოთხი წლის განმავლობაში სსრკ-ს ისტორიასთან ერთად. განაწილება საათებისა კლასების მიხედვით ასეთია: მეშვიდე კლასში საქ. ისტორიას ეთმობა *35* საათი, ერთიანი ოდენობის ნახევარზე მეტი და მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე (ამავე კლასში სსრკ-ს ისტორიას ეთმობა *70* საათი). მერვე, მეცხრე და მეათე კლასებისათვის რჩება მარტოოდენ ათ-ათი საათი და ამ სამი წლის მანძილზე სწავლობენ მხოლოდ მე-*19* - მე-*20* საუკუნეების პერიოდს. აღსანიშნავია, რომ *1957_58* წლებამდე ამ პერიოდს საქ. ისტორიისას სკოლებში საერთოდ არ ასწავლიდნენ. მაშინ საქ. ისტორია ცალკე ისწავლებოდა საკმაოდ კარგად შედგენილ სახელმძღვანელოთი(ავტორები: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია). ამ სახელმძღვანელოთი ძირითადათ ორი წლის მანძილზე, მეცხრე-მეათე კლასებში, ასწავლიდნენ და იგი მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. თითოეული კლასისათვის *1948_1952* წლებში განკუთვნილი იყო *66_66* საათი. სულ *132* საათი, ხოლო *1953_1958* წლებისათვის საქ. ისტორიის ამ პერიოდს ეთმობოდა *99* საათი, მაშინ როდესაც ამჟამად ამ ძირეულ და უვრცესეს პერიოდს საქ. ისტორიისას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეთმობა მხოლოდ ოცდათხუთმეტი საათი. გარდა ამისა, მეოთხე კლასში არის უფლება სსრკ-ს რთულად შედგენილ მასალებიდან, რომელიც *70* საათს მოიცავს, თხუთმეტი საათი დაეთმოს საქ. ისტორიას. თანაც ამ სახელმძღვანელოს კურსი იქეთკენაა წარმართული, რომ მისი ორი მესამედი დაეთმოს საბჭოთა პერიოდს, ხოლო ერთი მესამედი ვეებერთელა რევოლუციამდელ პერიოდს.

სასკოლო განათლების მესვეურებში არსებობს აზრი, რომ ფეოდალური პერიოდის ისტორია, მეფეთა და გარდასული დროის გმირთა ცხოვრებაზე ყურადღების გამახვილება საჭირო არ არის, რომ ეს ხელს უშლის მარქსისტულ- ინტერნაციონალური სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ამ აზრებს მოსკოვის კარნახითა თუ საკუთარი ინიციატივით განსაკუთრებით ნერგავდა ამ ბოლო ხანებში საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით*.ამრიგად, ბალანსი სსრკ-ს(იმავე რუსეთის) და საქართველოს ისტორიის სწავლებას შორის თითოულ კლასში ამგვარია: სსრკ-ს ისტორია *105* სთ. საქ. ისტორია დაახლოებით თხუთმეტი საათი. თუ კი პეტრე დიდის პერიოდს ხმარდება რვა საათი, ივანე მესამისას და მეოთხესას ერთად ათი საათი დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ცალ-ცალკე თითო საათი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს, სომხეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები უკმაყოფილონი არიან თავიანთი ისტორიის სასწავლო საათების შემცირებითა და სსრკ-ს ისტორიასთან მისი შერწყმულად სწავლებით. უკრაინა სდუმს, რადგან რუსეთის ისტორია კიევის რუსეთის ისტორიით იწყება. უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ აზერბაიჯანი და შუა აზიის ქვეყნები, გარდა ტაჯიკეთისა, რომელსაც საკმაოდ მდიდარი ისტორია გააჩნია.

---

*სტალინის ტერორის პერიოდში, როდესაც ხალხში აზრიც კი აღარ ღიმღამებდა საქ. დამოუკიდებლობაზე, *1946* წელს საშუალო სკოლის მუშაკთათვის დაწერილ მეთოდურ კრებულში ვიღაც დალოცვილებმა ამგვარი აზრის გაპარება შეძლეს: „საქ. ისტორიის შესწავლისას მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეასწავლოს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს ის თავები და პარაგრაფები, რომლებშიც ასახულია საქ. მაღალი კულტურული განვითარება და ქარ. ხალხის სახელოვანი ბრძოლის ეპიზოდები. მოსწავლეების მეხსიერებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის პედაგოგ- ისტორიკოსთა ერთერთ საკავშირო სხდომაზე საქართველოს წარმომადგენელმა დაასაბუთა საქართველოს ისტორიის შერწყმულად სწავლების უხერხულობა ისტორიასთან, ვინაიდან საქ. ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე იღებს დასაბამს, მაგრამ, როდესაც რუსეთის ისტორია მეცხრე საუკუნიდან იწყება**. „მაშ ამოვშალოთ მასალა მეცხრე საუკუნემდე", გამოსთქვა თავისი „კომპეტენტური" აზრი მოსკოვის ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა განათლების სფეროში! ასეთი რამ თვით შოვინისტ პურიშკევიჩებსაც კი არ განუცხადებიათ.

ისტორიის სწავლების ახალი მეთოდი თითქო მიზნად ისახავს საბჭ. კავშირის ეროვნებებში „ნაციონალიზმის გაქარწყლებას" და „ადამიანის ახალი ტიპის ფორმირებას ინტერნაციონალური სულისკვეთებით". სინამდვილეში კი სსრკ-ს ისტორიის სახელწოდებით იგი ფაქტიურად რუსეთის ისტორიას გვთავაზობს და ამით ავლენს რუსეთის „ობიექტურ მიდგომას სხვა ეროვნებათა ისტორიებისადმი".

--- --- --- --- --- --- ---

თბილისის უნივერსიტეტის რუსიფიკაციის ცდები

1975 წლის მიწურულში თბილისის სახ. უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის თანამშრომელმა მარიკა პირველმა დაიბარა საქ. ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. მარიკა ლორთქიფანიძე და უთხრა: ამას წინად რექტორმა დ. ჩხიკვიშვილმა დამავალა გადმოგცეთ, რომ თქვენს ფაკულტეტზე რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე უნდა წაიკითხოთო. მ. ლორთქიფანიძემ დიდად გაიოცა ასეთი წინადადება დააღშფოთება გამოთქვა. თუ არ გჯერათ რექტორთან შევიდეთ და თავად გეტყვითო, უთხრა მარიკა პირველმა. რექტორი მოსკოვში აღმოჩნდა წასული(როგორც ჩანს, რუსიფიკაციის ახალი ინსტრუქციების მისაღებად). რექტორმა ჩამოსვლისთანავე დაიბარა პროფ. მ. ლორთქიფანიძე დაჰკითხა, რად მიწყობთო ობსტრუქციას. მაშინ ლორთქიფანიძემ უთხრა: თუ მიგაჩნიათ, რომ სწორი არ ვარ, მოვიწვიოთ დიდი საბჭო და გამოჩენილმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა, პროფესორებმა გადაწყვიტონ ეს საკითხიო. ჩხიკვიშვილმა უთხრა: ჭკუაში ნუ მატყუებთო. მე ის კი არ მითქვამს, სწავლა იყოს-მეთქი რუსულად, არამედ ვთქვი რუსეთიდან მოვიწვიოთ-მეთქი გაცვლის წესით ლექტორები.

ამის შემდეგ ჩხიკვიშვილმა ტაქტიკა შეცვალა და დაიწყო სათითაოდ დაბარება ფაკულტეტების დეკანებისა. *1976* წლის *15* იანვარს დაიბარა: ქიქიაშვილი (მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი), ლომსაძე(ბიოლოგიის ფაკ. დეკანი), ჩანტლაძე(პოლიტეკონომიის კათედრის გამგე), ლეკვეიშვილი(იურიდიულ ფაკ. დეკანი), ა. სურგულაძე(ისტორიის ფაკ. დეკანი), და განუცხადა მათ, რომ საჭიროა ზოგიერთ საგნის რუსულად წაკითხვა რუსული ენის უკეთ შესწავლის მიზნით. სტუდენტები რომ ამთავრებენ უნივერსიტეტს, ენის უცოდინარობის გამო ვერ მიდიან რუსეთში სამუშაოდ. თან ყველა ეს პირები გააფრთხილა: მ. ლორთქიფანიძეს არ შეატყობინოთ, რომ მე დაგიბარეთო ამ საკითხზე.

რუსიფიკაციის ესოდენ დაურიდებელმა ცდამ განცვიფრება გამოიწვია ფაკულტეტის დეკანებსა და პროფესორებს შორის, თუმცა ყველას როდი ეყო მოქალაქეობრივი გაბედულება, რომ პროტესტი განეცხადებია. აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომელთაც მხარი დაუჭირეს რექტორის წინადადებას. ასეთნი იყვნენ: პრორექტორი ზ. ფორაქიშვილი და ისტორიის ფაკ. დეკანი ა. სურგულაძე. უმეტესობამ დუმილი არჩია. მხოლოდ ნაწილმა განაცხადა მტკიცე

ღრმად უნდა აღიბეჭდოს თავისი სამშობლოს მთლიანობისა, დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის მებრძოლ პიროვნებათა და სახელოვან მთავარსარდალთა დიდებული სახეები. კონკრეტული და ცოცხალი მაგალითებით მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა უჩვენოს მოსწავლეებს რომ ქართ. ხალხი უმძიმეს მომენტშიც კი არ იღებდა ხელს თავგამოდებულ ბრძოლაზე, არ კარგავდა გამარჯვების იმედს და ქედს არ იხრიდა უსასტიკეს მტარვალთა წინაშე". რაოდენ უპირისპირდება ამ აზრს დღევანდელი ოფიციალობის კარნახით დანერგილი აზრები!

** ისტორიის შერწყმულად სწავლებას ამართლებენ იმით, თითქოს უმჯობესი იყოს სოციალურ ფორმაციების თანმიმდევრულობით გავლა მსოფლიო ისტორიის კურსისა, ვიდრე ეროვნებების მიხედვით, აქ მათ ავიწყდებათ ქვეყანათა განვითარების სხვადასხვა დონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი. ასეთები იყვნენ მაგალითად, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ო. ბაქანიძე, იურიდიულ ფაკ. დეკანი მ. ღეკვეიშვილი. ამ უკანასკნელმა მთელი მგზნებარებით [illegible]თა, რომ რუსულ ენაზე კითხვა ლექციებისა ეროვნულ უნივერსიტეტში დაუშვებელია. მათემატიკის ფაკ. დეკანმა ლ. ჟიჟიაშვილმა განუცხადა რექტორს: სიტყვა„ინტეგრალს" რუსულად ვიტყვით თუ ქართულად მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ წინააღმდეგი ვარო ლექციების რუსულ ენაზე წაკითხვისა. პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ, ჩანტლაძემ განაცხადა: სანამ მე აქ ვარ ეს არ მოხდება და თუ ენების შესწავლაზე მიდგება საქმე, მე მყავს სპეციალისტები, რომლებიც გერმანულად და ინგლისურადაც წაიკითხავენო ლექციებს. კატეგორიული წინააღმდეგი იყო აგრეთვე ლექციების რუსულ ენაზე წაკითხვისა ლომსაძე(ბიოლოგიის ფაკ. დეკანი), დათანხმდა მხოლოდ ისტორიის ფაკ. დეკანი ა. სურგულაძე. ეს უკანასკნელი თავისმა მოადგილემ გასცა მარიკა ლორთქიფანიძესთან. მ. ლორთქიფანიძე შევიდა რექტორ დ. ჩხიკვიშვილთან და უთხრა: ან მე დავტოვებ უნივერსიტეტს ან თქვენო. ჩხიკვიშვილი ამშვიდებდა: ქ-ნო მარიკა, თქვენს კათედრას ხომ არ ეხება, თქვენ რა გაწუხებთო. ამაზე მ. ლორთქიფანიძემ მიუგო: ყველაფერი, რაც უნივერსიტეტში ხდება მე მეხებაო. ჩხიკვიშვილი უკან დახევის გზას დაადგა და დაამშვიდა: კარგი, კარგი, რახან არ გინდათ შევწყვიტოთ ამაზე საუბარიო.

აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე რუსულად წაიკითხა ლექცია დოცენტმა ტიკაძემ. მეორე დღეს სტუდენტები აღარ მოვიდნენ ლექციაზე. მ. ლორთქიფანიძემ გაიგო ეს და მიმართა ტიკაძეს, რათა აღკვეთილიყო ეს უმსგავსობა. მ. ფუთურიძემ (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი) დაიბარა დოც. ტიკაძე და მოსთხოვა ახსნა-განმარტება, რატომ ჩაიდინე ეს საქციელიო. ტიკაძემ უთხრა: რა ვქნა, პარტკომში დამავალესო(პარტკომია რ. გორდეზიანი).

განსაკუთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა რექტორი ჩხიკვიშვილი მეცნიერული კომუნიზმის კათედრაზე. ამ კათედრის თანამშრომლებმა ერთხმად განუცხადეს მას პროტესტი ამ რუსიფიკატორული ღონისძიების წინააღმდეგ. მაშინ ჩხიკვიშვილმა შეკრიბა ამ კათედრის თანამშრომლები და უთხრა: რახან არ თანხმდებით, ცენტრალურ კომიტეტში წამოდით და იქ გავარკვიოთო. ცენტრალურ კომიტეტში კი განუცხადეს განცვიფრებულ რექტორს და პროფესორ მასწავლებლებს, რომ ასეთი მითითება სულაც არ მიუციათ უნივერსიტეტისათვის, რომ ეს ნებაყოფლობითი ამბავია, თუ მოისურვებენ, შეუძლიათ წაიკითხონ რუსულ ენაზე ლექციები და ა.შ. ამის შემდეგ, დ. ჩხიკვიშვილმა გაუქმებულად გამოაცხადა თავისი *15* თებერვლის დავალება. ცხადია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველივე ამით ნიადაგის ზონდირება მოახდინა და რა დაინახა ასეთი ერთსულოვანი წინააღმდეგობა, ჯერ-ჯერობით უკან დახევის ტაქტიკა არჩია.

თბილისის სახ. უნივერსიტეტმა და ყველა იმ უმაღლესმა სასწავლებლებმა თუ სამეცნიერო- საკვლევმა ინსტიტუტებმა, რომელთაც უფლება აქვთ სამეცნიერო ხარისხების მინიჭებისა, უკვე მიიღეს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს *1975* წლის *29* დეკემბრის „პოსტანოვლენიე №*1067* ო პოლოჟენიი ი პორიადკე პრისუჟდენიია უჩენიხ სტეპენეი ი პრისვოენიია უჩენიხ ზვანიი", რომელსაც ხელს აწერს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კოსიგინი და სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. სმირტიუკოვი.

ახალი დებულების მიხედვით აიკრძალა სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად დისერტაციების შედგენა მშობლიურ ენაზე, ის აუცილებლად შედგენილი უნდა იყოს რუსულ ენაზე. რუსულ ენაზე უნდა იქნეს აგრეთვე დაბეჭდილი წინასწარ გამოქვეყნებული დისერტაციის ძირითადი დებულებანი და რუსულ ენაზევე უნდა ჩატარდეს დისერტაციების დაცვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბჭო მაძიებელს ნებას დართავს დაცვის დროს ილაპარაკოს მისი რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ანუ მშობლიურ ენაზე.

რამდენიმე თვის წინათ საქ. უმაღლეს სასწავლებლებს და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს გამოეცხადათ სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მინისტრის განკარგულება იმის შესახებ, რომ უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები რომელ საგანშიც არ უნდა იყოს, თუნდაც მშობლიური ენის, ისტორი-

---

და პრიორიტეტი თითოეული ეროვნების განვითარების ერთიანი ხაზისა, ერის სულიდან, ეროვნული ხასიათიდან გამომდინარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, ლიტერატურის,- უნდა დაიწეროს მხოლოდ რუსულ ენაზე და ამ განკარგულების ძალით თბილისის სტამბიდან მოხსნეს ქართულ ენაზე დაწერილი ყველა სახელმძღვანელო, სტამბაში იყო ჩაშვებული დასაბეჭდად. ე. ი. საქ. ისტორია, ქარ. ენა, ლიტერატურა, ხელოვნების ისტორია ამიერიდან უნდა დაიწეროს რუსულ ენაზე.

სამხატვრო აკადემიის ერთი ფაკულტეტის რუსიფიკაცია

უნივერსიტეტის მწარე გამოცდილებამ ხელისუფლება აიძულა უფრო ფრთხილ და თვალთმაქცურ მეთოდებზე გადასულიყო. დღემდე არსებულ წესის მიხედვით, სამხატვრო აკადემიაში ქართულ ენაზე ხდებოდა ყველა საგნის ჩაბარება და ყველა ფაკულტეტზე ქართულად მიმდინარეობდა სწავლება. წელს კი ინტერიერის ფაკულტეტზე მოაწყეს რუსული გამოცდები სპეციალურად არა ქართველ სტუდენტებისათვის, ბოლოს *35* ქართველი აბიტურიენტი აღარ ჩარიცხეს და მიიღეს მხოლოდ შემდეგნი: დავლეთბეგოვი, სომონიანი, პაპანიანი, მარკაროვი, გავრილიდი, ზაკალაშვილი(გადაკეთებული გვარი). ბუნებრივია, ამჟამად მათი სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე. ამ ფაქტებთან დაკავშირებით კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა განაცხადა პროტესტი თავის განცხადებაში ჩერქეზიას მიმართ და აღნიშნა, რომ ეს არის არსებული წესის დარღვევა. ჩერქეზიამ ვითომ დიდად გაიოცა ეს ფაქტი და დაწერა: „შეისწავლეთ და წამოაყენეთ წინადადება". თუმცა ეს ფაქტი არავის შეუსწავლია. რექტორმა თოთიბაძემაც წაუყრუა და „უნებლიეთ" გაიხსნა რუსული ფაკულტეტი სამხატვრო აკადემიაში ო. ჩერქეზიას ფარული მითითებით.

გედეონ თვალთვაძე

ხანძრები და დივერსიები საქართველოში *1976* წელს

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქ. სახელმწიფო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ადგილებში გახშირდა ხანძრები და დივერსიები. დადგენილია წინასწარ განზრახული ხანძრები შემდეგ ობიექტებზე(მოგვყავს ყველაზე დამახასიათებელი შემთხვევები);

1. „საქქვანახშირის" ტექნიკური მომარაგების კომბინატის ბაზა ქ. ტყიბულში, სავარაუდო ზარალი *300* მან.|*27* იანვარი|.

2. კიროვის სახ. ჩარხთმშენებელი ქარხანა თბილისში, დაიწვა ხუთასი კვ.მ. გადახურვა |*30* იანვარს|.

3. საბავშვო ორსართულიანი უნივერმაღი თბილისში, ლენინის მოედანზე, *24* თებერვალს ოცდამეხუთე პარტყრილობის გახსნის დღეს |სავარაუდო ზარალი *1* მილ. მანეთი|.

4. „კინო სახლი" თბილისში, დაიწვა სახურავის ნაწილი, სავარაუდო ზარალი ათასი მანეთი.

5. კინოთეატრი ამირანი თბილისში *30* თებერვალს, ხანძარი დროზე ჩააქრეს.

6. უნივერმაღი ქ. ბორჯომში|*1* მარტი|. სავარაუდო ზარალი *50.000* მან.

7. საყოველდღეო მოხმარების საქონლის მაღაზია №*18* სოფ. ქვედა-საზანონში. ზესტაფონის რაიონში. მაღაზია მთლიანად დაიწვა. სავარაუდო ზარალი *40.000* მან. |*5* აპრილს| დოკუმენტაცია გადარჩა, დაკერილია რამდენიმე ადგილი.

8. საფოსტო განყოფილების შენობა და აფთიაქი ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოქალაქევში, შენობა მთლიანად დაიწვა, ზარალი *45000* მანეთი.

9. ინკუბატორის სადგური №*2* ზუგდიდში, შენობა ნაწილობრივ დაიწვა, სავარაუდო ზარალი *603* მან.|ხუთ აპრილს|.

10. ხილის მიღების პუნქტი და საკოლმეურნეო კანტორა მახარაძის რაიონის სოფ. მაკვანეთში. ორსართულიანი შენობა დაიწვა ნაწილობრივ მთელი დოკუმენტაციითურთ |რვა აპრილს|, ზარალი არ არის ცნობილი.

11. ცეკავშირის შენობა ქ. ბოლნისში|ორი მაისი|. ზარალი არ არის ცნობილი.

12. ჩაის ფაბრიკა ქ. მახარაძეში|*17* მაისი|. ზარალი არ არის ცნობილი.

13. ხე-ტყის ბაზა თბილისში. ზარალი უცნობია.

14. *16* აპრილს, თბილისში დღის ხუთ საათზე მინისტრთა საბჭოს შენობის წინ აფეთქდა ბომბი. დაიმსხვრა ფანჯრის მინები: მინისტრთა საბჭოს შენობაში, კინოთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატრ „რუსთაველში“, პიონერთა სასახლეში. მსხვერპლი არ ყოფილა. მას შემდეგ მილიცია ღამღამობით მორიგეობს მთავრობის სახლის გარშემო.

15. აფეთქება ენგურჰესის ელექტრო ქარხნისა, სადაც განადგურდა კაბელების მთელი სისტემა|ოთხი ივნისი|. საერთოდ საქართველოში გავრცელებულია წყალსადენის რეზერვუარებზე კაბელების აფეთქება, რათა ხანძრის შემთხვევებში სახანძრო დაცვამ ვერ ისარგებლოს წყლით. ასე მოხდა მაგალითად ოპერის ხანძრის დროს, როდესაც რუსთავის წყალსაცავზე მოკლეს მილიციელი და დააზიანეს ტუმბო. ა.წ. სამ ოქტომბერს მოხდა აფეთქება სამგორის წყალსადენის სათავეზე, დაზიანდა კაბელი, წყალი შეწყდა რამოდენიმე საათით ქალაქის მთელ რიგ უბნებში, სადაც გაჩნდა რამოდენიმე ხანძარი | იმავე დღეს გაჩნდა ხანძარი ტელევიზიის ერთ-ერთ ლაბორატორიაში.

16. ყრუ-მუნჯთა საზოგადოების კომბინატის დიდი საწყობი თბილისში, დოლაბაურზე, მიახლოებითი ზარალი რვა მილიონი მანეთი |7 სექტემბერს|. ხანძრის დროს მოკლულია ერთი მილიციელი და ერთი დარაჯი. დაპატიმრებულია საზოგადოების მთავარი ბუღალტერი ქალდანი, რომელსაც ბრალდება ეს ყოველივე|იხ. „კომუნისტი“|. ორი დღით ადრე საწყობი დახურა „ობეხეესმა“.

გახშირებულ ხანძრებთან დაკავშირებით **12**-დან **18** იანვრამდე დაჯარიმებულია **67** კაცი, აქედან **40** თანამდებობის პირი, მათ შორის: ახმეტის ხის დამმუშავებელი კომბინატის ცეხის უფროსი გ.ა. ბადურაშვილი, თბილისის საცხოვრებელ სახლის **№4** კანტორის უფროსი შ.ო. კორინთელი, ხაშურის საავტოტრანსპორტო პარკის დირექტორი მ.ი. კაკაბაძე, კოჯრის **n4** საბავშვო სახლის დირექტორი დ.მ. ჯიქიძე, ქუთაისის **N 2, N20, N 27, N8, N 22, N 12** საშუალო სკოლების დირექტორები.

5-დან **11** ივლისამდე ხანძრებთან დაკავშირებით დაჯარიმებულია რვა კაცი, აქედან ხუთი თანამდებობის პირი: შუახევის რაიონის სოფ. დღვანის ცეკავშირის მაღაზიის დირრქტორი დ.ი. ფუტკარაძე, გუდაუთის რაიონის მიუსერის პიონერთა ბანაკის დირექტორი ბ.გ. ბუღისკერია, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახლმმართველობის უფროსი გ.თ. კალანდაძე, ახმეტის რაიონის სოფ. ფოჩხოვანის ცეკავშირის მაღაზიის გამგე ი.დ. ბაჩაური, ხელვაჩაურის რაიონის ედანოვის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ.მ. ჭელიძე და სხვანი.

ფეთქებადი ნივთიერებები და მოწყობილებები ჩამოერთვა შემდეგ მოქალაქეებს: კ.ა. ცინცაძეს, **1927** წელს დაბადებული, თერჯოლის რაიონის სოფ. მუჯირეთის კოლმეურნეს ბინაზე აღმოუჩინეს ერთი კგ. ამონალი და ექვსი კაპსული დეტონატორი|თორმეტ აპრილს|, ი.მ. კარაევი დაბ. **1919** წელს, საგარეჯოს რაიონის **№2** საამშენებლო სამმართველოს მუშა, ჩამოერთვა **1,5** კგ.დინამიტი და ბიკფორდის ზონარი| ოცი აპრილ|, მ.მ. ჯამალოვი დაბ. **1948** წელს, საქნავთის თელეთის უბნის **№2** სეისმიური პარტიის მუშა-ამფეთქებელი, ჩამოერთვა ორი ელექტრო-ასაფეთქებელი მექანიზმი, **38** ცალი კაპსული დეტონატორი და **35** მეტრი ბიკფორდის ზონარი|ოც აპრილს|, დ.ო. გაგუა, წაღენჯიხის რაიონის სატყეო მეურნეობის მუშა, ჩამოერთვა ასი ცალი კაპსული დეტონატორი, სამი მეტრი ბიკფორდის ზონარი|ოც აპრილს|, ა.ა. მუყებიანი, დაბ. **1924** წელს, ღენტეხის **№2** საამშენებლო უბნის ოსტატი. მას ჩამოერთვა ორი ცალი ამონალი **15** ცალი კაპსული-დეტონატორი და ერთი მეტრი ბიკფორდის ზონარი| ოცდაერთ აპრილს|.

1976 წლის იანვარში თბილისის დიმიტროვის სახ.**№31** სამხედრო-საავიაციო ქარხნის საცდელი აეროდრომიდან უცნობებმა გაიტაცეს სამხედრო თვითმფრინავი |მოკლულია გასამხედროებულ დაცვის სამი წევრი|.

26 მაისს ღამით, უცნობი პირები თავს დაესხნენ ამიერკავკასიის ჯარების ერთერთი ნაწილის არსენალს საგარეჯოს რაიონის სოფ. უჯარმასთან, მოკლეს მცველები და გაიტაცეს დიდძალი რაოდენობით ავტომატები, ხელყუმბარები და ნაღმები. ორი დღის შემდეგ არსენალის მახლობლად, გომბორის გადასასვლელზე მოხდა ასეთი ინციდენტი: თელავის რაიკომის მდივანი კობაიძე მიდიოდა თბილისიდან თელავში თავისი ავტომანქანით. უეცრად მას გზა გადაუღობა ავტომატიანმა ჯარისკაცმა და გააჩერა მანქანა. ჯარისკაცმა ყველანი ჩამოსვა მანქანიდან, თავად ჩაუჯდა მძღოლს და უბრძანა თბილისის აეროპორტისაკენ სვლა დიდი სიჩქარით. რა მიუახლოვდნენ აეროპორტს, მან უბრძანა მძღოლს, მიეყვანა იგი პირველ შეხვედრილ თვითმფრინავთან, რომელზედაც ტრაპი იყო მიდგმული. შოფერმა ეშმაკობა იხმარა: მან ურჩია ჯარისკაცს ჩაწოლილიყო საჯდომზე, რათა მილიციას არ დაენა-

ხა და ამ დროს გააჩერა მანქანა , გადმოხტა და იწყო ყვირილი მიშველეთო, მოგროვდა ხალხი, მილიცია, ჯარისკაცს წაართვეს ავტომატი და დააპატიმრეს. როგორც ჩანს, ეს ადამიანი თანამონაწილე იყო არსენალის გაძარცვისა და ღამობდა საზღვარგარეთ გაქცევას. ამ გაძარცვის ორგანიზატორები უმეტესწილად თავად რუსი სამხედროები იყვნენ, რომელნიც მასიურად ვაკრობენ ამჟამად იარაღით და ასაფეთქებელი ნივთიერებებით საქართველოში და ჩრდილო კავკასიაში.

უკანასკნელ წელს ორგანოებმა რამოდენიმე ადგილზე აღმოაჩინეს და უვნებელყვეს ნაღმები, მაგალითად ფუნიკულიორის სატელევიზიო კოშკზე, თბილისის მთავარ უნივერმაღში რუსთაველის გამზირზე, ცენტრალური ტელევიზიის შენობაში და ა.შ.

1975 წელს მომხდარი დიდი ხანძრები და აფეთქებებია: გაჩიანის „სოფლტექნიკის" ბაზაში, ზარალი დაახლოებით სამასი ათასი მანეთია, თბილისის ავტოსადგურის ახალ შენობაში, ზარალი დაახლოებით ორმოცი ათასი მანეთია, რუბეროიდის ქარხანაში, ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანში", №*31* სამხედრო-საავიაციო ქარხანაში აფეთქება და ა.შ.

ხანძრები და აფეთქებები შესაძლოა ორ კატეგორიად დავყოთ: პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ხანძრები, რომელთაც აწყობენ ამა თუ იმ დაწესებულების მუშაკები „ობეხეესის" კლანჭებისაგან თავის დახსნის მიზნით, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა მის შემდეგ, რაც ე. შევარდნაძე დაინიშნა საქ. კომპარტიის კომიტეტის პირველ მდივნად. როდესაც წვავენ საწყობს და დოკუმენტაციას, რევიზიას და „ობეხეესს" უჭირთ დამტკიცება გაფლანგვისა და დატაცებისა. ეს სახეობა დივერსიებისა უფრო მეტადაა გავრცელებული. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან საპროტესტო ხანძრები და აფეთქებები, როგორც მაგალითად აფეთქება დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის საცდელ აეროდრომზე, აფეთქება მთავრობის სასახლის წინ, ხანძარი ავტოსადგურზე, აფეთქებები ქარხნებში ენგურჰესზე და ა.შ. ხშირია აგრეთვე შანტაჟი ამფეთქებლის მხრივ. ასე მაგალითად, როგორც ცნობილი გახდა, უცნობი პირები დაემუქრნენ აფეთქებით უნივერსიტეტის შენობას იმ შემთხვევაში, თუ იქ მოხდებოდა რუსიფიკაცია, როგორც ეს განზრახული ჰქონდა მთავრობას.

სავარაუდებელია, რომ სანამ საქართველოში საგრძნობად არ გაუმჯობესდება მოსახლეობის ეკონომიური პირობები, არ გაიზრდება ხელფასები, არ შემცირდება ფასები, აგრეთვე სანამ არ შეწყდება დრაკონისეული ღონისძიებები „ეკონომიურ დანაშაულთა" წინააღმდეგ, აგრეთვე სანამ არ შეწყდება რუსიფიკაციის პოლიტიკა, ხანძრები და აფეთქებები კვლავაც გაგრძელდება მომავალში. **ამ მოვლენებს უნდა ვუყუროთ, როგორც სისტემის მანკს და არა როგორც ცალკეულ დამნაშავე პირთაგან მომდინარე ანარქიულ გამოვლინებებს–**

ყარამან ლაბაძე

უ ბ რ ა ლ ო ა რ ი თ მ ე ტ ი კ ა

(შრომის ანაზღაურება და ფასები სსრკ-ში)

მოცემული წერილის მიზანია დოკუმეტალური მონაცემებით წარმოაჩინოს თუ როგორი თანაფარდობაა სსრკ-ში ფასებსა და მუშების, მოსამსახურეების, მეცნიერ-მუშაკთა და ა.შ. საშუალო ხელფასებს შორის. ჩვენი მიზანია აგრეთვე ჩვენება იმისა, რომ მაგალითად, საქ. სსრ-ში მოსახლეობის უმრავლესობას არ ძალუძს ხელფასით ცხოვრება.

წინასწარ ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ სპეციალობით არაეკონომისტი შევეხე ამ პრობლემას, ამიტომ მე ავიღე ყველასათვის თვალსაჩინო ციფრები ნებისმიერი მაღაზიისა და საკოლმეურნეო ბაზრისათვის საერთო, ასევე საყოველთაოდ ცნობილი ოდენობა ხელფასებისა. ეს შრომა მიზნად ისახავს კომპეტენტური ადამიანების, მაგალითად, ეკონომისტების, სოციოლოგების, სტატისტიკოსების და სხვათა შეგულიანებასაც, რათა აწარმოონ მსგავსი გამოთვლები. მაშინ ვიმედოვნებ, მივიღებთ უფრო ყოვლისმომცველ და საინტერესო სურათს.

განვიხილოთ საბჭ. მოქალაქეთა მინიმალური ხარჯი კვებაზე, ტრანსპორტზე, ტანსამოსზე, ავეჯზე და ა.შ. თვით უბრალო არითმეტიკული ოპერაციებით აქ გარკვეულ დასკვნამდე მივალთ. მაგალითისათვის ავიღოთ მუშის ოჯახი, რომლის საშუალო ხელფასი გამომუშავებასთან ერთად *150-200* მანეთია. ოჯახი შედგება ოთხი კაცისაგან. ერთ დღეში იხარჯება: ასი გრ. შაქარი-ათი კაპ. ასი გრ. მარგარინი- ოცდახუთი კაპ. ორი კგ. შავი

პური-ოცდაათი კაპ. ოცი გრ. ჩაი-ოცი კაპ. ხუთასი გრ. ყველი-ოთხმოცდაათი კაპ. ერთი კგ. კარტოფილი-ოცი კაპ. ხუთასი გრ. ხორცი|გაყინული|-ერთი მან. კერძის საკეთებლად მან. საუზმე მამისათვის სამსახურში-*50* კაპ. საუზმე ორი ბავშვისათვის სკოლაში-*50* კაპ. ტრანსპორტი ოთხი კაცისათვის-*40* კაპ. ყველაზე იაფიანი სიგარეტი-*14* კაპ. ეს შეადგენს სულ: დღეში *5* მან. *50* კაპიკს, ხოლო თვეში *165* მანეთს.

არ დაგვავიწყდეს, რომ ოჯახი ცხოვრობს სამ ოთახიან ბინაში |*51* კვ.მ.|, კომუნალურ მომსახურეობისათვის იგი ყოველთვიურად იხდის *15* მანეთს ბინის ქირად, ხოლო ელექტრონის და სხვა მომსახურეობისათვის ათ მანეთს, ჯამში *25* მანეთს. ამგვარად მხოლოდ კვებაზე, ტრანსპორტზე და კომუნალურ მომსახურებაზე ერთად მოდის *190* მანეთი!

არ დაგვავიწყდეს, რომ ადამიანს სჭირდება აგრეთვე საპონი, კბილის პასტა, სარეცხის ფხვნილი, ტუალეტის ქაღალდი, წელიწადში ერთხელ მაინც ტანისამოსი, უთო და ა.შ. გადავხედოთ ფასებს: სარეცხი საპონი-ოცი კაპ. სელის საპონი-ათი კაპ. ტუალეტის ქაღალდი- ორმოცდახუთი კაპ. ხელსაწმენდი- ოცდახუთი კაპ. კბილის პასტა- ოცდახუთი კაპ. სარეცხის ფხვნილი- ორმოცდახუთი კაპ. ყოველივე ეს უდრის *1* მან.და *70* კაპიკს, მიუმატოთ ამას გაუთვალისწინებელი ხარჯები ოცდაათი კაპიკის რაოდენობით და მივიღებთ ორ მან. ყოველთვიურად კი სამოც მანეთს. ახლა მიუმატოთ ყოველივე ეს ზემოთმოყვანილ თანხას, *190* მანეთს და მივიღებთ *250* მანეთს, ანუ ყველაზე მინიმალურ ყოველთვიურ ხარჯს! (აქ ჩვენ გამოვრიცხეთ კინო, თეატრი, სპორტი, ცირკი, ჟურნალ-გაზეთები, პარტიული და პროფკავშირული საწევროები, სამი პროცენტი საშემოსავლო გადასახადი და ა.შ.).

ახლა კი გადავიდეთ იმავე ოჯახის წლიურ ხარჯებზე, რომლის წლიური შემოსავალია *2400* მან., ხოლო მაქსიმუმია *3000* მან. პრემიების ჩათვლით. წელიწადში ერთხელ ამ ოჯახმა უნდა იყიდოს ტანისამოსი, ავეჯი და სხვა. მით უმეტეს თუ ოჯახი ახლად იქმნება. განვიხილოთ მინიმალური ფასები ყოველივე ამისა:

ქალის ქურქი(სინთეტიური)-*450* მანეთი, მამაკაცის ბეწვისსაყელოიანი პალტო-*180* მანეთი, კაბა–*60* მანეთი, კოსტიუმი–*70* მანეთი, უსაყელო პალტო–*50* მანეთი, ფეხსაცმელი–*12 ,28, 35 , 51* მანეთი, პერანგი–*7, 13* მანეთი, ქალის პერანგი–*20* მანეთი, მოსასხამი–*75 , 92* მანეთი, მამაკაცის ტრუსები–ორი მანეთი, შარვალი–ოცი მანეთი, წინდები–სამი მანეთი ოცდაათი კაპიკი, ყელიანი წინდები ერთი მანეთი ოცი კაპიკი, ორი მანეთი ოთხმოცი კაპიკი, ქალის საცვალიორი მან. ორმოცდაათი კაპიკი, ქალის ჩექმები(ხელოვნური)–*55* მანეთი და ა.შ.

თუ კი ზემოხსენებწლი ოჯახი იყიდის წელიწადში+ მამაკაცისათვის, ორი ცალი ტრუსები–*5* მანეთი, ორი ც. მაისური–*3* მანეთი, ხუთი ცალი წინდები–*4* მანეთი, ორი ც. პერანგი–*14* მანეთი, ორი ცალი შარვალი–*40* მანეთი, ოთახის პიჟამი–*20* მანეთი, ერთი პალტო –*50* მანეთი, ერთი კოსტიუმი–*70* მანეთი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი–*12* მანეთი. სულ *218* მანეთი. ასე, რომ მამაკაცი ტანისამოსზე, თუ დავამრგვალებთ, ხარჯავს *220* მანეთს. ცოლი ხარჯავს: ერთი ც. პალტო–*50* მანეთი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი–*20* მანეთი, ერთი წყვილი ზამთრის ფეხსაცმელი–*30* მანეთი, საცვლები–*25* მანეთი, ორი წყვილი ყელიანი წინდები–*4* მანეთი, ერთი ც. თავსაფარი–*5* მანეთი, ერთი წყვილი ფლოსტები– *3* მანეთი, სხვადასხვა ნივთი ქალისა–*5* მანეთი. სულ *142* მანეთი. ამგვარად ცოლ-ქმარი ხარჯავს სულ *360* მანეთს. ორივე ბავშსაც დაახლოებით იგივე თანხა სჭირდება და საბოლოოდ ეს უდრის მთელი ოჯახისათვის *720* მანეთს. თუ ამ ხარჯებს შევკრებთ, მაშინ მივიღებთ, რომ აღებული ოჯახის წლიური ხარჯი უდრის *3.720* მანეთს. **ამგვარად წლიური ხარჯი მოცემული ოჯახისა არანაყიერ კვებაზე, ტრანსპორტზე, მდარე ტანისამოსზე, კომუნალურ მომსახურებაზე! უდრის *3720* მანეთს, ხოლო წლიური შემოსავალი იმავე ოჯახისა უდრის *2400 - 3000*** მანეთს. საიდან იშოვოს ოჯახმა დანარჩენი *1320* მანეთი? დავუშვათ, რომ ცოლი, როძელსაც არ გააჩნია უმაღლესი განათლება, დაიწყებს მუშაობას, მაღაზიის გამყიდველად ან დამლაგებლად|*60* მანეთი|, ან რომელიმე მსგავს თანამდებობაზე, სადაც ხელფასი არ აღემატება *70* მანეთს, მისი წლიური შემოსავალი იქნება სამოცჯერ თორმეტი *720* მანეთი. თუ კი იგი იშოვის მეორე სამსახურსაც, შემოსავალი გაიზრდება, ვთქვათ *600* მანეთით. და მიიღებს *1320* მანეთს. მაშინ ოჯახი გაუმკლავდება მხოლოდ ზემოდდასახელებულ ხარჯებს. სხვა ხარჯებისთვის მას დარჩება წელიწადში *480* მანეთი. ახლა ვნახოთ, ეყოფა თუ არა ეს თანხა საოჯახო ნივთებს, ტელევიზორს, კინოს, თეატრს, სპორტს, წამლებს და ა.შ. (გავიხსენოთ, რომ ოჯახი არ სარგებლობს რძით, კარაქით, ხილით, ბოსტნეულით და სხვა საკვები პროდუქტებით, ამიტომ ავადმყოფობა არ უნდა იყვეს. მისთვის უცხო სტუმარი).

ავეჯი(მინიმალური ფასები)

სასადილო–1000 მანეთი, საძინებელი–940 მანეთი, სამზარეულო–50 მანეთი, ტელევიზორი–250 მანეთუ, ტრანზისტორი–90 მანეთი, სარეცხი მანქანა–70 მანეთი, მტვერსწმენდი–40 მანეთი, მაცივარი–150 მანეთი, უთო–5 მანეთი, სუფრა–10 მანეთი. სულ 2.605 მანეთი.

საწოლის თეთრეული და სხვა საჭიროებანი ოთხი კაცისათვის:

კარნიზები და ფარდები–25 მანეთი, ოთხი ცალი ღეიბი–48 მანეთი, ოთხი ც. ბალიში–28 მან. ოთხი ც. საბანი–120 მანეთი, ოთხი ც. ზეწარი–24 მანეთი, ოთხი ც. ბალიშის პირი–10 მ. ოთხი ც. კონვერტი–36 მანეთი, პირსაბანი–5 მანეთი. სულ 296 მანეთი. ქოთნები, დანა.ჩანგალი, თეფშები, ფინჯანები და ა.შ.–50 მანეთი. ახლა შევაჯამოთ და მივიღებთ 2.951 მ. მიუმატოთ ამას კინო თვეში ერთხელ ოთხ კაცზე–2 მანეთი, წელიწადში–24 მანეთი, ფეხბურთი ან სხვა სპორტი ერთი მანეთი, წელიწადში–12 მანეთი, წამალი წელიწადში დაახლოებით–10 მანეთისა, სულ გამოდის 46 მანეთი. თუ ამას მიუმატებთ მიღებულ ჯამს მთელი ხარჯი გამოდის 2.997 მანეთი შევადაროთ ეს თანხა ზემოდხსენებულ დარჩენილ 480 მანეთს და ნათელი გახდება, რომ ხელფასზე მცხოვრებ არცერთ მუშას ცოლით და ორი შვილით არ ძალუძს ნორმალურად იკვებოს, იძინოს, ჩაიცვას, მოაწყოს ბინა. მან უარი უნდა თქვას ტელევიზორზე, რადიოზე, წამლებზე, მუსიკის მოსმენაზე და ა.შ. ოჯახი გაჭირვებაში იქნება, ბავშვები დაავადდებიან(შესაძლოა მოზრდილნიც) ვიტამინების უკმარისობისაგან, სიცივისაგან და ა.შ. მუშამ საერთოდ უარი უნდა თქვას სტუმრების მიღებაზე, საოჯახო დღესასწაულებზე და სხვა.

ვინმემ შეიძლება შეგვნიშნოს, რომ მაგალითად ავეჯის, საოჯახო ნივთების, ტანსამოსის და ა.შ. ყიდვა ყოველწლიურად როდია საჭირო. ვუპასუხებთ, რომ ჩვენ ავიღეთ შემთხვევა, როდესაც მუშა ახლად იწყებს ოჯახის შექმნას. შემდგომი წლებისათვის თანხა, რომელიც ჩვენ ავიღეთ ხარჯებისათვის შეგვიძლია შევამციროთ და დავტოვოთ მხოლოდ ის, რისი ყიდვაც აუცილებელია ყოველწლიურად.. **საბჭოთა კავშირის ნებისმიერი მიუკერძოებელი მოქალაქე დაგვეთანხმება აგრეთვე, რომ ზემოხსენებული ხარჯები , განსაკუთრებით-კვებაზე, უზრუნველყოფენ მხოლოდ მათხოვრულ არსებობას, ხოლო შედარებით უკეთესი კვებისათვის კი საჭიროა ორჯერ ან სამჯერ მეტი. იგივე ითქმის ტანსაცმელზე, ტრანსპორტზე, საოჯახო ნივთებზე და ა.შ.**

თუმცა ამგვარი არსებობისათვის მხოლოდ მუშები როდი არიან განწირულნი. შეიძლება ანალოგიური დაპირისპირებათა გაკეთება, თუ კი გავითვალისწინებთ შემდგომ ყოველთვიურ ხელფასებს: მაგალითად 1 კატეგორიის საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებისას: დირექტორი–300 მან. მთავარი არქიტექტორი–250 მანე. მთავარი ინჟინერი–250 მან. სახელოსნოს უფროსი–280 მან. პროექტის მთავარი არქიტექტორი– 180 მან. ინჟინერი–150 მან. არქიტექტორი–100 მან.

ან კიდევ ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომლებისა: მინისტრი–400 მან. თუ დეპუტატია–450 მან. მინისტრის მოადგილე–300 მან. განყოფილების გამგე–190 მან. მოადგილე–160-170 მან. ინსპექტორი–150 მან. მთავარი ბუხჰალტერი–190 მან. მთავარი ეკონომისტი–170 მან. მინისტრის მძღოლი–110-120 მან. მოსამსახურე პერსონალი–60-70 მანეთი. იგივეა სხვა სამინისტროებშიც. იგივეა მშენებლობაზეც: სამუშაოს მწარმოებელი–150 მან. ათისთავი–100, 120, 140 მან. მუშა–160-200 მანეთი(გამომუშავებიანად).

სკოლის მასწავლებელი–65 , 80, 135 მან. ექიმი – 80, 100 მან. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში: მეცნიერ-მუშაკი–105 მან. უფროსი მეცნიერ-მუშაკი–135 მან. ხარისხიანი მეცნიერ-მუშაკი–240-450 მან. უმცროსი ლაბორანტი–70 მან. უფროსი ლაბორანტი–90 მან. მაქსიმალური ხელფასი მეცნიერებათა დოქტორისა, თუ იგი ლაბორატორიასაც ხელმძღვანელობს–550 მანეთია. ახლა ვნახოთშეუძლია თუ არა ასეთ უფროს მეცნიერ- მუშაკს მაქსიმალური ხელფასით– 550 მანეთით, ცოლით და ორი შვილით ასეთი დღიური ხარჯების გაწევა: შაქარი 300 გრ.–30 კაპ. კარაქი 250 გრ.–>„ 90 კაპ. თეთრი პური ორი კგ. 60 კაპ. ყველი 500 გრ.– ერთი მან. კარტოფილი ერთი კგ.–ოცი კაპ. ახალი ხორცი ბაზარზე ერთი კგ.– ოთხი მან. მწვანილი ერთი მანეთი, კიტრი–ერთი მან. პომიდორი–ერთი მან. ბოსტნეული– ერთი მან. ხილი– სამი მან. რძის ნაწარმი–1,50 მან. საუზმე სამსახურში–ერთი მან. ტრანსპორტი– ერთი მან. სიგარეტი–40 კაპ. სხვა ხარჯები– ერთი მან. სულ დღიური ხარჯები– 20 მან. თვეში კი შეადგენს–600 მანეთს. რაც შეეხება კომუნალურ მომსახურების ხარჯებს, ისინი ორჯერ მეტია მეცნიერ-მუშაკისათვის, ვიდრე მუშისათვის, რა-

დგანაც მას უფრო დიდი საცხოვრებელი ფართობი გააჩნია, იგი იცვამს უკეთ, ყიდულობს იმპორტულ ტანისამოსს, რომელსაც შავ ბაზარზე შოულობს. ახლა გადავხედოთ საკ[illegible] ში არაოფიციალური შავი ბაზრის ფასებსაც: მამაკაცის კოსტიუმი–200-300 მან. [illegible] ცის ფეხსაცმელი–150-200-300 მან. ქალის ფეხსაცმელი–150-200-300-500 მან. ქალის ჩექმები–300-700 მან. მამაკაცის ქურთუკი–2000-3000 მან. ქალის ქურთუკი–1500-2000 მან. ნატურალური ქურქი–2000-5000-7000 მან. მამაკაცის პერანგი–50-70-100 მან. ჯინსები(კოსტიუმი) –200 მან. ქალის საცვალი–70-100 მან. სუნამო–100 მან. ჰალსტუხი–10-20 მან. წინდები–10 მან. მოსასხამი–100 მან. ხიზილალა ერთი კგ.–400 მან. ზუთხი ერთი კგ.12 მან. ქალის ქუდი(სირაქლემა)– 150 მან. ქუდი(ნორკის)–200-300 მან. ქუდი უბრალო ბეწვის–100 მან. ავეჯი: სასადილო–5000-7000 მან. საძინებელი–3000-4000-6000 მან. სამზარეულო–1000-3000 მ. ავტომანქანები(მაღაზიაში): „ზაპოროჟეცი"–3500 მან. „ჟიგული"–5500-6500-7500 მან. „ვოლგა"–9200 მან. „ვოლგა"(გაზ-69)-ძველი გამოშვება–3100 მან. იგივე ახალი გამოშვება–7000 მანეთი,; შავ ბაზარზე: „ზაპოროჟეცი"–6000 მან. „ჟიგული"–15000 მან. „ვოლგა"(გაზ--24)- 24000 მან. „ვოლგა(გაზ- 24, ძველი)–13000 მან. იგივე ახალი– 23000 მანეთი.

დანარჩენი თავად მკითხველმა გამოიანგარიშოს ზემოთჩამოთვლილი ფასებისა და თბილისის შემდეგი საბაზრო ფასების მიხედვით: ხორცი ერთი კგ.– ოთხი, შვიდი და რვა მანეთი, წიწილა ექვსი-შვიდი მან. ქათამი– ათი-ცამეტი-თუთხმეტი მან. ინდოური–20-25-30 -40 მან. კარტოფილი– ოცდაათ კაპ-დან ერთ მანე-დე. სტაფილო– ხუთი მან. ჭარხალი– ხუთი მან. ნიგოზი თოთხმეტი მან. კიტრი– 1,5 - 2,5 მან. პომიდორი– 5-7-8 მან. ხახვი– 2- -4 მან. ნიორი– 2-4 მან. ლობიო– ორი მან. ხენდრო–1,5-3 მან. ბალი– 1,5 - 2,5 მან. ყველი– 5-6 მან. სიმინდის ფქვილი– ერთი მანეთი, ვაშლი– ორი - ოთხი მან. ტყემალი– ორი მან.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ საბ. კავშირში ვერავინ შეძლებს ხელფასით ცხოვრებას პრივილეგიური პარტიული ფენის, ე.წ. ნომენკლატურის გარდა, რომელიც სარგებლობს სპეციალური დახურული, დაბალფასიანი და ყოველგვარი პროდუქტებით მდიდარი მაღაზიებით. აქედან ნათელი ხდება, თუ რად დგას ასე მწვავედ საკითხი რესპუბლიკაში კორუპციისა, მექრთამეობისა, გაფლანგვისა, დატაცებისა, შემოსავლის უკანონო გზებისა და ა.შ. ერთადერთი გზა ამგვარ მოვლენათა აღმოფხვრისა მხოლოდ და მხოლოდ ხელფასის მომატება და ფასების დაკლება, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნაა.

ცნობები უშიშროების კომიტეტის „საქმიანობაზე"

(ნაწყვეტი)

1976 წლის *29* ივლისს, თბილისის ფილოსოფიის ინსტიტუტიდან სახ. უშიშროების კომიტეტში წაიყვანეს ღვთისო გოგოჭური. მას ახლდა უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი კოპაძე, რომელიც სპეციალურადაა „მიმაგრებული" ინსტიტუტზე. უშიშროების კომიტეტში იგი დაჰკითხა მისთვის უცნობმა პირებმა. მათ ჰკითხეს, თუ რადა აქვს სახლში ხატები, მართალია თუ არა, რომ იგი მართავს სახლში რელიგიურ დღესასწაულს „ხატობას", აგრეთვე უთხრეს, რომ მის დისერტაციაში არის ადგილები, სადაც იგი სმპატიას ამჟღავნებს რელიგიისადმი. შემდეგ დასძინეს: უშიშროების კომიტეტისათვის ცნობილია, რომ იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს ახალი წესის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს დისერტაციების რუსულ ენაზე დაცვას ქართულ სამეცნიერო დაწესებულებებში და ამას „ნაციონალიზმი" უწოდეს. მას არაორაზროვნად ჩაუკრეს სიტყვა, რომ ამგვარი ფაქტები საშიშროებას უქადიან მას.

-- -- -- -- --

ჩვენს სინამდვილეში ჩვეულებრივი მოვლენაა უშიშროების კომიტეტის თანამშრომელთა „მიმაგრება" კულტურისა და განათლების უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებზე. უშიშროების კომიტეტს აინტერესებს ინტელიგენციის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის იდეურ-ფსიქოლოგიური განწყობილება, რადგან აქედან მოელის იგი საფრთხეს საბ. სახელმწიფოს ტოტალიტარული იდეოლოგიისადმი. განსაკუთრებით აფიქრებს მას სტუდენტობა, რადგან ახალგაზრდებში, ამ მომავალ ინტელიგენციაში ისადგურებს ყველაზე ძალუმად უსამართლობისადმი სამართლიანი რისხვის გრძნობა. ამიტომ, უშიშროების კომიტეტი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სპეციალურად მიმაგრებული თანამშრომლების მეშვეობით არ ერიდება სტუდენტების ჩათრევას ე. წ. „შეკვრას", ამხანაგებისადმი ჯაშუშად მიჩენას, რასაც იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩადის დაშინების, შანტაჟის, ათასგვარი დაპირებების(საზღვარგარეთი, ასპირანტურა, თანამდებობა, ფული) მეოხებით. მაგალითად *1959* წელს თბილისის სახ. უნივერსიტეტში უშიშროების კომიტეტის მუშაკმა შალვა პაპიძემ სათითაოდ გამოიძახა იმჟამად სტუდენტების ზ. გამსახურდიას მეგობრები და თანაკურსელები: ნანა ქავთარაძე, კოტე გედევანიშვილი, ნუკრი სანაძე, რუსუდან თიკანაძე, სალომე ბოლქვაძე, აკაკი ვასაძე და სხვანი, შესთავაზა თანამშრომლობა და სთხოვა თვალყური ედევნებინათ თუ რაზე საუბრობენ ან როგორ იქცევიან ზ. გამსახურდია და მისი მეგობრები. სამაგიეროდ იგი მათ დაჰპირდა ასპირანტურას, კათედრაზე დატოვებას, ფულად ჯილდოს და ა.შ. სტუდენტებმა უარი განაცხადეს ასეთ თანამშრომლობაზე და აცნობეს ყოველივე ზ. გამსახურდიას

ამჟამად უნივერსიტეტში ლექტორები და სტუდენტობა ღიმღლით საუბრობენ უნივერსიტეტის „პირველ განყოფილებაზე", სადაც სხედან სახ. უშიშროების კომიტეტის მიერ სპეციალურად მიმაგრებული თანამშრომლები. ისინი ცდილობენ სტუდენტთა ჩათრევას, საჯაშუშო ქსელს აბამენ მთელს უნივერსიტეტში და ამოწმებენ ლექტორებისა და სტუდენტების იდეურ განწყობილებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ უშიშროების კომიტეტის წევრები: გაგუა, შურღაია და სხვები.

სახ. კონსერვატორიაზე, სამხატვრო აკადემიაზე და სხვა კულტურულ დაწესებულებებზე მიმაგრებულია უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი ზაურ გაჩეჩილაძე(ადრე მიმაგრებული იყო რატი ტატიშვილი). ცნობილია რომ იგი ინტენსიურად ითრევს სტუდენტ ახალგაზრდობას აგენტურულ მუშაობაში. ამ „სასიქადულო" საქმეში კონსერვატორიაში მას ხელს უწყობს კადრების განყოფილების გამგე თინა კუზანოვა.

1973 წლის თებერვალში უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტმა კახაბერ არსენიძემ ეროვნ. ბიბლ. ბიბლ. ბიბლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ესა თუ ის სამეცნიერო შრომა რაც განსაზღვრავს ამ ნაწარმოების ან შრომის შემდგომ ბედს გამოძცემლობებში, თუ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. მას რ... ბი და ლიტმუშაკები საიდუმლოდ უთანხმებენ ბევრ „საჭირბოროტო“ პრობლემებს ამასთან დაკავშირებით. თუ როგორ ბატონად მიიჩნია მას თავი მაგალითად მწერლობის ფრონტზე, ეს მოსჩანს მის საუბრებიდან, რომლებიც მას ჩაუტარებია ქართველ მწერლებთან.

მაგალუთად, *1972* წლის ნოემბერში მან განუცხადა ზვიად გამსახურდიას უშიშროების კომიტეტში: „თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება და არც წიგნად გამოიცემა, ვინაიდან ისინი ჩვენ არ მოგვწონსო“. მისი მუქარა პრაქტიკულად დადასტურდა *1973* წლის აგვისტოში, როდესაც ზვიად გამსახურდიას ლექსების კრებული გამომცემლობა „მერანში“ უკვე აწყობილი და დასაბეჭდად ხელმოწერილი გაჩეტეს სტამბაში და აკრძალეს, ვითომდაც „მთავლიტის“ ინიციატივით. (აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ კრებულის აკრძალვაში მონაწილეობა მიიღეს ბ. ელენტმა,შ. ნიშნიანიძემ, გ. ჩიქოვანმა, იზა ორჯონიკიძემ და სხვებმა).

მეორე ნათელი დადასტურება ზემოთხსენებული ფაქტისა იყო ზარდალიშვილის დიალოგი მწერალ ნ. წულეისკირთან, რომელიც გამოძახებულ იქნა უშიშროების კომიტეტში *1975* წლის ივლისში, ჟურნალ „ოქროს საწმისში“ მისი სიტყვის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ზარდალიშვილმა მას მოსთხოვა წერილობით დაეგმო ზ. გამსახურდია და „ოქროს საწმისი“, ხოლო როდესაც წულეისკირმა უარი განაცხადა ამაზე, ზარდალიშვილი ქუჩური გამოთქმებით გაუმასპინძლდა მას და დაემუქრა პარტიიდან გაგდებით, სამსახურიდან მოხსნით და დაპატიმრებით „არ დასმენის“ მუხლით! მწერალმა ნ. წულეისკირმა ამის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში შეიტანა განცხადება, რომელშიც უჩიოდა ზარდალიშვილს უდიერი მობყრობისა და პირადი შეურაცხყოფის გამო.

--- --- --- ---

ნ. სამხარაძის დაკავება

1976 წლის *30* ივლისს ექიმმა ლ. მელაძემ ექიმ ნიკოლოზ სამხარაძის დავალებით ქ. მოსკოვის ცენტ. ტელეგრაფიდან ლ.ი. ბრეჟნევს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „უკვე ორი წელია, რაც ჩემს ძმას, ბეგლარ სამხარაძეს თან სდევს უსამართლობა, ავადმყოფობა, შიმშილი. ათობით განცხადება-ტელეგრამაა გაგზავნილი რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებში. არავითარი დადებითი, სამართლიანი პასუხი არ მიგვიღია. ორგზის გამოგიგზავნეთ დეპეშა. განცხადება დოკუმენტებითურთ *1976* წლის *17* მაისს მიიღო სკკპ ცკ-ს საერთო განყოფილებამ, მაგრამ პასუხი არ მოგვსვლია. გაანადგურეს თუ რა ბედი ეწია განცხადებას არ ვიცით. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით მშრომელთა განცხადებას ერთი თვის განმავლობაში უნდა გაეცეს პასუხი.

თქვენგანაც კი არ არის რეაგირება.

სამამულო ომში ბ. სამხარაძე მესამე ჯგუფის ინვალიდი გახდა. ხალხის მტრებმა ბერია-რუხაძემ ინკვიზიტორული წამებით პირველ ჯგუფის ინვალიდ-შიზოფრენიკად გახადეს. საქ. სოციზრუნველყოფის სამინისტროს საპენსიო განყოფილების გამგემ კორკოტაშვილმა, *1974* წლის ივნისში წაართვა მას სამხედრო პენსია, რომელიც ოცდახუთ წლის განმავლობაში ეძლეოდა. თუმცა სამხარაძე პედაგოგად მუშაობდა და აქვს საკმარისი სტაჟი, მაგრამ კორკოტაშვილმა არც სამოქალაქო პანსია დაუნიშნა მას. უსამართლობისაგან, ავადმყოფობისაგან, შიმშილისაგან სიკვდილი ომზე უარესია და ასეთი მშვდობა სამხარაძისათვის ჯოჯოხეთს წარმოადგენს.

გთხოვთ მიპასუხოთ მისამართით: თბილისი, მაყაშვილის ქუჩა №*18*.

ტელეგრაფის თანამშრომელმა ქალმა შეატყობინა სახ. უშიშროების კომიტეტს, საიდანაც ძოვიდა ორი თანამშრომელი და ლ. მელაძე ერთ-ერთ ოთახში შეიყვანეს. მას ჰკითხეს , რად აგზავნიო ასეთ ტელეგრამებს. მან უპასუხა: ავადმყოფს გამოუვალი მდგომარეობა აქვს, ვინაიდან საარსებო საშუალება აღარ დაუტოვეს. მას უთხრეს , რომ არ შეიძლება ამგვარი ტელეგრამების გაგზავნა, რადგან შეიძლება ეს ამბავი ამერიკის შ. შტ-მა გაიგონ და აუკრძალეს შემდგომისათვის მსგავსი ტელეგრამების გაგზავნა.

22 ივლისს ტელეგრამის ავტორი, ნ. სამხარაძე თავის სახლთან დაკავა სახ. უშიშროების კომიტეტის ორმა თანამშრომელმა და უშიშროების კომიტეტში წაიყვანა. აქ იგი დაჰკითხა განყოფილების გამგემ, ტატიშვილმა. მან ჰკითხა, თუ რად აგზავნის იგი ამგვარ ტელეგრამებს, რატომ გამოდის ანტისაბჭოურ სიტყვებით კრებებზე თავის სამსახურში, გა-

ახსენა აგრეთვე,რომ 1959 წელს ასეთი ამბებისთვის იგი იყო დაპატიმრებული და იძულებით მკურნალობისათვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნილი. შემდეგ ტატიშვილმა ჰკითხა ნ. სამხარაძეს, იცნობს თუ არა იგი ზ. გამსახურდიას და რა დამოკიდებულება ქ აქვს მასთან, ხომ არ არის მისი „ორგანიზაციის“ წევრი. ნ. სამხარაძემ უპასუხა, რომ არავითარი ორგანიზაცია ზ. გამსახურდიას არ აქვს და რომ ეს სიცრუეა. შემდეგ ტატიშვილმა ჰკითხა სამხარაძეს, დასწერა თუ არა მან საექიმო ცნობა ზ. გამსახურდიას მოწამლვის შესახებ და რად ჩაიდინა ეს. სამხარაძემ მიუგო, რომ ზ. გამსახურდიას მოწამლვა უტყუარი ფაქტია და იგი პასუხისმგებელია თავისი დიაგნოზისათვის. ტატიშვილმა უთხრა: „იცით თუ არა თქვენ , რომ ამგვარი დიაგნოზისათვის შეიძლება სამსახური დაჰკარგოთ“. „ეს არ მაშინებს-მიუგო სამხარაძემ- მე ვერ ვუღალატებ პროფესიულ სინდისს. მითუმეტეს, რომ ზ. გამსახურდიას მანქანაში მასთან ერთად განვიცადე საკუთარ თავზე მომწამლავი გაზის მოქმედება, რის შედეგადაც წნევამ ამიწია“. „გირჩევთ ამაზე კრინტი არსად დასძრათ“- უთხრა ტატიშვილმა და წინდახედულებისაკენ მოუწოდა ნ. სამხარაძეს.

xxx xxx xxx xxx xxx

Djobadze's Library

მერაბ ქოსტავა

ბნელეთის ბრძოლა აღდგომის წინააღმდეგ

უკვე სამი წელია, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის წევრები საქართველოში ებრძვიან ადმინისტრატიულ ღონისძიებებს ისეთი რელიგიური დღესასწაულის წინააღმდეგ წამოწყებულს, როგორიცაა აღდგომა.

აღდგომა მართლმადიდებლური ქრისტიანობის ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში უმთავრესი რელიგიური დღესასწაულია. იგი ძირეული მომენტია თავად ქრისტიანული აღმსარებლობისა. სიცოცხლის გამარჯვება სიკვდილზე, ნათლისა - ბნელზე, აი რა ამართლებს იმედსა და ამკვიდრებს ოპტიმიზმს როგორც სახარებაში, ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ დიდებულ ეპოპეაში, ასევე კაცობრიობის მთელ ევოლუციაში. ქართველი კაცისათვის სწორედ რომ მშობიარობა აღდგომის დღესასწაული, რადგან მის გაგებაში, მის მსოფლმხედველობაში სიცოცხლე და ცხოვრება განუყოფელია კაცის ბუნებასთან. ქართული ჯვარი ხომ ვაზის ღერწმისაგანაა გაკეთებული, ღერწმისაგან, რომელნიც „ტოტებს აიყრიან მეტის გახელებით, როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით“ [გრ. რობაქიძე]. ქართული ჯვარი ნიადაგ იფოთლება, როგორც ცხოვრების დაუოკებელ ძალთა მატარებელი*.

ამ ძალების გარდამოსვლას ქვეცნობიერად გრძნობს ქართ. ახალგაზრდა ამ დღესასწაულზე და ამიტომაც აღდგომისას ეტანება იგი განსაკუთრებით ეკლესიებს. ეს ამბავი კარგად უწყიან ჩვენში ბნელეთის მოციქულებმა და რელიგიის მტრებმა და სწორედ ამ დღეისთვის ძაბავენ ენერგიას. როგორც წინა წლებში, ამჟამადაც სააღდგომო „დამსჯელ“ ოპერაციაში უმთავრესად კომკავშირლები და გადაცმული მილიციის მუშაკები მონაწილეობდნენ. ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიას ისინი წელსაც[24 აპრილს] წირვაზე მომსვლელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების დასაშინებლად ეწვივნენ. კომკავშირლები იდგნენ ყველგან: ეკლესიაშიც, ეზოშიც, ქუჩაზეც და გარეთ გამოსულ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც სანთელი დაანთო, რაზმელთა შტაბში თხოვდნენ გაყოლას, რომელიც წელსაც რუსთაველის სახელობის კინოთეატრში, ადმინისტრატორის კაბინეტში იყო საგანგებოთ მოწყობილი. მათ იქ ელოდებოდნენ კომკავშირისა და მილიციის პასუხისმგებელი მუშაკები და ფოტოგრაფი. მიყვანილებს უშინჯავდნენ საბუთებს, იწერდნენ მათ სახელსა და გვარს, სამსახურის ადგილს, უღებდნენ სურათს, ემუქრებოდნენ კომკავშირიდან გარიცხვით, სამსახურობლივ - ადმინისტრატიული სასჯელით.

სააღდგომო - „დამსჯელ“ ოპერაციაში მონაწილეობდნენ კალინინის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ივანე ჭელიძე, ტეკა-ს მუშაკი გურამ მამულაშვილი, კალინინის

---

* ნიშანდობლივია წმინდა ნინოს მიერ ვაზის ღერწისაგან ჯვარის გამოთლა. ესაა სიმბოლო თუ უძველესი დიონისური კულტურა წარმართული საქართველოსი რა ორგანიულად შეეზარდა ქრისტიანობას, წინააღმდეგ იმ ანტაგონიზმისა, რასაც დანარჩენ ელინურ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი. შეფოთლილ ჯვარს, ქართველი ოსტატების მადღიანი ხელით ქვაში ამოჭრილს, თუ ჰაეროვანი ფუნჯით შესრულებულს, ხშირად შეხვდებით ჩვენი ეკლესიების ბარელიეფებსა და ფრესკებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიმილიციის მოადგილე თეიმურაზ ბაბაშვილი და სხვა. პუნქტში მოყვანილი მოქალაქეებიდან მოხერხდა მხოლოდ რამოდენიმე გვარის დადგენა. ესენია: ბიდბუნოვა ნელი და ... ჟამოვა ნათელა, დიასახლისები, ეროვნებით ასირიელები, თეატრალური ინსტიტუტის აბითურიენტი თეიმურაზ წითლიძე, სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი მარინე მღვდლიაშვილი, აწკარუნაშვილი მანანა, 43-ე საშ. სკოლის მოსწავლე კალაჩაევი კარენი*.

ადამიანის უფლებათა დაცვის საინციატივო ჯგუფის წევრები საქართველოში, ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა აფრთხილებდნენ მოქალაქეებს არ გაჰყოლოდნენ კომკავშირის მუშაკებს რაზმელთა შტაბში, რადგან მათ არ ჰქონდათ მოქალაქეთა დაკავების არც მორალური, არც იურიდიული უფლება. ამით ისინი უხეშად არღვევდნენ საბჭოთა კონსტიტუციისა და სამართლის წესდებებს და ხელყოფდნენ ადამიანის სინდისის თავისუფლებას.

ზვიად გამსახურდია შევიდა კიდეც რაზმელთა შტაბში და იქ მსხდომ კომკავშირისა და მილიციის მუშაკებს სთხოვა როგორც მწერალთა კავშირის წევრი დაესწროთ დაკავებული მოქალაქეების დაკითხვაზე. ისინი დაეთანხმნენ, მაგრამ როდესაც ზ. გამსახურდიამ დაიწყო დასაკითხთა გვარების ჩაწერა, მოსთხოვეს შტაბის დატოვება. განსაკუთრებით უკმაყოფილებას ამჟღავნებდა კალინინის რაიმილიციის უფროსის მოადგილე თეიმურაზ ბაბაშვილი. იგი მივიდა მერაბ კოსტავასთან, რომელიც იწერდა შტაბიდან გამოსული აღშფოთებული სტუდენტების გვარებს და უბრძანა მისთვის მიეცა ქაღალდი კომკავშირელებისაგან შეურაცხყოფილი მოქალაქეების გვარებით. კოსტავამ უპასუხა: „ქაღალდი ჩემია და არავის აქვს უფლება დამიშალოს ის, რასაც ვაკეთებ“ და განაგრძო მოქალაქეებთან საუბარი და გვარების ჩაწერა, ხოლო ბაბაშვილი უკუქცევის გზას დაადგა.

კალინინის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ივანე ჭელიძემ, მოქ. მ. კოსტავასთან პირად საუბარში შეკითხვაზე: თუ რატომ არღვევენ ისინი კონსტიტუციის წესდებას და ხომ არ სთხოვენ ამის გაკეთებას ზემდგომი ორგანოები, მიუგო „ეკლესიაში მოსულები შტაბში დასაკითხად მხოლოდ იმისთვის მოგვყავს,რომ მასსების ფსუქოლოგია და იდეოლოგიური განწყობა გავიგოთ“. ამით მან არ დამაღა საბჭ. სახელმწიფოს, როგორც იდეოლოგიურ ცენზორის როლი და მისი ტოტალიტარული სულისკვეთება. შეკითხვის მეორე პუნქტზე ჭელიძემ ამგვარი პასუხი გასცა: ამის გაკეთებას ზემდგომი ორგანოები როდი გვავალებენ, ეს მხოლოდ ახალგაზრდა კომკავშირელების ინციატივაა. განა ლოგიკურ მთლიანობაშია პასუხის მეორე ნაწილთან პირველი? მასსების ფსიქოლოგიასა და იდეოლოგიური განწყობილებაზე ახალგაზრდა კომკავშირელები ფიქრობენ უფრო თუ ზემდგომი ორგანოები: პარტიის ცენ. კომიტეტი, სახ. უშიშროების კომიტეტი და ა.შ. მით უმეტეს შარშანწინ აღდგომა ღამით, კომკავშირის ზოგიერთმა მუშაკმა ადამიანის უფლებათა დაცვის საინციატივო ჯგუფის წევრებთან კერძო საუბარში აღიარა, რომ თავადაც არ არის კმაყოფილი საკუთარი მოქმედებით, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გააჩნიათ, რადგან ასე უბრძანეს „ზემოდან“.

ოფიციოზი აღდგომის რელიგიური დღესასწაულის წინააღმდეგ თავის პოლიციურ მოქმედებას სხვაგვარად ამართლებს. ქართ. გაზეთ „თბილისში“, 1974 წლის 15 აპრილის ნომერში, სწორედ აღდგომის მეორე თუ მესამე დღეს გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ანთებული სანთლები და მივიწყებული მოვალეობა“. სტატიის ავტორებია საქ. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე მდივანი ნ. ლეკიშვილი** და გაზეთის კორესპონდე-

---

* 1974 და 1975 წლის აღდგომა ღამით, ადამიანის უფლებათა დაცვის საინციატივო ჯგუფის წევრებმა მრავალი დაკავებულის გვარი დაადგინეს, რომელნიც გამოაქვეყნეს თვითგამოცემისეულ მასალებში.

**იმ აღდგომა ღამით ნ. ლეკიშვილი სხვა კომკავშირის მუშაკებთან ერთად იდგა ქაშვეთის ეკლესიაში და ახალგაზრდებს აკვირდებოდა. მათ აინტერესებდათ ის ახალგაზრდები , რომელნიც ლოცულობდნენ და სანთლებს ანთებდნენ. შესანიღბავად კომკავშირელი მზირები თავად ანთებდნენ სანთლებს, თითქოს „ლოცულობდნენ“ და აღშფოთებას იწვევდნენ მორწმუნეებში. ლეკიშვილმაც დაანთო სანთელი და პირჯვარი გადაისახა, რაზედაც სიცილი ასტეხეს მასთან მყოფმა კომკავშირელმა ქალიშვილებმა, რომლებიც ასევე ლოცვის სიმუღაციას ეწეოდნენ(მაგრამ საკმაოდ წარუმატებლად).

ნტი ა. შენგელია. გაზეთში ფიგურირებდა აღდგომა ღამით დაკავებულთა თითქმის ყველა გვარი. მასში აღნიშნული იყო აგრეთვე შემდეგი: თუმცა საბჭ. კონსტიტუცია ეძლევიდის სინდისის თავისუფლებას, მაგრამ შეუძლებელია შეურიგდე იმ ფაქტს, რომ რელიგიურ დღესასწაულებში ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი კომკავშირლები მონაწილეობენ. როგორც ირკვევა წერილის ავტორებს შესწორების შეტანა სურთ საბჭ. კონსტიტუციაში, რომელიც სინდისის თავისუფლებას აცხადებს უძლებლივ ყველასათვის. მათი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ სინდისის თავისუფლებით ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ხანში შესული მოქალაქენი უნდა სარგებლობდნენ, ხოლო ახალგაზრდები კი არა; მით უმეტეს, რომ ახალგაზრდების თითქმის ასივე პროცენტი ჩვენში კომკავშირელია. აქვე გავახსენებთ სააღდგომო „დამსჯელი“ ოპერაციის ორგანიზატორებს ინსტრუქციას კულტების შესახებ კანონმდებლობის გატარებაზე, რომელიც დაადგინა სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა, რელიგიური კულტების საქმიანობასთან დაკავშირებულმა საბჭომ (მოსკოვი, *1961* წელი, მხოლოდ სამსახურეობრივი გამოყენებისათვის, გვ.*4*): „მთავრობის ადგილობრივ ორგანოთა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიური კულტების საქმიანობასთან დაკავშირებულმა საბჭომ, აგრეთვე მათმა რწმუნებულებმა ადგილებზე მკაცრად უნდა ადევნონ თვალყური, რათა ნებისმიერი მოქალაქე ნამდვილად იქნას უზრუნველყოფილი სსრკ-ს კონსტიტუციაში გამოცხადებული სინდისის თავისუფლებით; არ უნდა დაუშვან რელიგიასთან ბრძოლის ადმინისტრატიული საშუალებები(სამლოცველოების უკანონო დახურვა და ა.შ.), რელიგიურ გაერთიანებათა საქმიანობაში ადმინისტრატიული ჩარევა, სასულიერო პირთადმი უხეში მობყრობა და მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა“.

ახლა ისიც ვიკითხოთ, თუ რაოდენ სამართლიანია ამგვარი თვალყურის დევნება ეკლესიაში მოსიარულე კომკავშირლებზე, ანუ ეგრეთწოდებული „კომკავშირული სიწმინდის“ დაცვაზე. ერთი შეხედვით სამართლიანად უნდა გვეჩვენებოდეს მათდამი მთავრობის ასეთი უკმაყოფილება. კომკავშირელი, რომელიც ეკლესიაში სანთელს ანთებს და ლოცულობს, ორ წისქვილზე ასხამს წყალს, თითქოს უპრინციპობას იჩენს, არ არი წრფელი, რადგან ანტირელიგიურ ორგანიზაციაში სამსახურს ღვთისმსახურებას უთავსებს. მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ და რანაირად ხდება კომკავშირში მიღება, ასეთ უკმაყოფილებას ზედმეტად მივიჩნევთ. დავიწყოთ შორიდან. უკვე ახლადფეხადგმულ ბავშვებს, დაახლოებით ოთხი-ხუთი წლის ასაკისას რაღაც ორგანიზაციის მაგვარს ახვევენ თავს: „ოქტომბრელებად“ რაცხავენ. ცხრა-ათი წლის ასაკში სკოლის ყველა მოსწავლეს უკლებლივ პიონერულ ორგანიზაციაში ღებულობენ და ესეც ბავშვების ინიციატივისა და ცნობიერების გარეშე ხდება. ბავშმა რა იცის ოქტომბრის რევოლუციისა, რომ ოქტომბრელობა მოინდომოს. არც პიონერული ორგანიზაციაა მის მიერ გააზრებული, თორემ პიონერხელმძღვანელებად უფროსი ასაკის დამიანებს რად დაუყენებდნენ. ან როდის აურჩევიათ თავად ბავშვებს პიონერხელმძღვანელი? აქედანვე აჩვევენ ბავშვებს საბჭოური „არჩევნების“ წესებს, ხელმძღვანელის არა ქვეიდან, არამედ ზევიდან არჩევის წესს. აბა განაცხადოს ბავშმა მორწმუნე მშობლის ხათრით, ან წამხედურობით უარი პიონერობაზე, სხვებივით ნუ გაიკეთებს წითელ ჯილსახვევს/? ასეთ მშობლებს ბავშვს ჩამოართმევენ, ბავშვსაც და მშობელსაც ყოველმხრივ შეავიწროვებენ. სახელმწიფო იდეოლოგიური კონტროლი აკვნიდანვე მტაცებელივით გადმოეფოფრება ხოლმე ძუძუმწოვარას და მშობელთა ფუნქციებში უტიფარ ჩარევასაც არ ერიდება, მშობელთა ოდითგან დადგენილ საკრალურ უფლებებსაც უგულვებებელჰყოფს, თუ კი დასჭირდა*. *14-15* წლის ახალგაზრდას სკოლის თითქმის ყველა მოსწავლეს კომკა-

---

*ამის საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ. ორი წლის წინად, სააღდგომო რიტუალის დროს სიონის ტაძრიდან გამოვიდა ახალგაზრდა ქალი ერთი წლის ბავშვით ხელში. სახალხო რაზმელების შტაბთან მას გზა გადაუღობა ორჯონიკიძის რაიონის კომკ. რაიკომის მდივანმა ციური კორშიამ სხვა კომკავშირლებთან ერთად. მათ ქალს შტაბში გაყოლა შესთავაზეს. ქალი არ გაჰყვა. მაშინ მათ ბავშვი გამოსტაცეს ხელიდან და ძალით შეათრიეს შტაბში, ქალმა კივილი ასტეხა. მაშინ მას ერთი მოქალაქე გამოექომაგა, რომელსაც შტაბში შესვლა შესთავაზეს. მოქალაქემ ამაზე უარი განაცხადა და მათი ბოროტმოქმედების მხილება დაიწყო. სასოწარკვეთილმა, ბრაზით შებყრობილმა კომკავშირელმა მუშაკებმა დაუბრუნეს დედას ბავშვი და იგი იქაურობას გაეცალა. მოქალაქემაც გზა განაგრძო. მას არ

ვშირში ღებულობენ. მოზარდები კომკავშირის რაიკომებს თავად როდი აწყდებიან. კომკავშირის რაიკომებიდან იგზავნება დირექტივები და გეგმები სკოლების პარტიულ და კომკავშირულ აქტივებში და ეს აქტივები აწერინებენ მოზარდებს განცხადებებს კომკავშირში მიღების თაობაზე. მათვე მიჰყავთ ისინი რაიკომებში კომკავშირში მიღების ცერემონიალზე. ამ ასაკშიც როდი ღვიძავს ცნობიერებას და ნებელობას. ადამიანი შედარებით დამოუკიდებელ აზროვნებას *18 - 20* წლის ასაკში იწყებს და *28 - 29* წლის ასაკისათვის უკვე მომწიფებულია. ასე, რომ ნებისმიერ ზემოხსენებულ შემთხვევაში უმართებულოდ იქცევიან, შეურაცხყოფენ ადამიანის წმინდათა - წმინდას, მის თავისუფალ ნებას, რადგან უასაკო, ცნობაგაუფურჩქვნელ ადამიანს გარედან ახვევენ იდეოლოგიას, არ აცლიან თავად არჩევას მისას შესაფერის ასაკში. მხოლოდ დამოუკიდებელი აზროვნებიდან გამომდინარე მოქმედებას შეესატყვისება თავისუფალი ნება. ამგვარ ნებელობას კი, როგორც ხედავთ, ძირშივე სპობენ და ამასთან გეგმაზომიერათაც. უნებურად გველისა და პეპლის ამბავი გვახსენდება.

ასე, რომ ეკლესიაში საღოცავად მისულ კომკავშირლებზე უკმაყოფილების გამოთქმა მხოლოდ მაშინ იქნებოდა სამართლიანი, მათი მე-ს, მათი ინდივიდუალური ცნობიერების გაღვიძებისათვის რომ დაეცადათ, ბავშვობიდანვე რომ არ მოჭვიათ მათთვის თავზე თავიანთი ნება, თავიანთი იდეოლოგია. ასეთია ერთპარტიულობის სავალალო შედეგი. იგი სიყრმიდანვე შემხუთავ ყალიბში ამწყვდევს ადამიანთა უმრავლესობას, რადგან თავისუფალი ინიციატივა ამგვარ ყალიბს ვეღარ ჰგუობს.

აღდგომის მადლი მუდამ დაჰნათოდა საქართველოს. მისი შეწევნით მრავალი წყვდიადით მოცული საუკუნე გამოვლო ივერიამ, რამდენიმეჯერმე მკვდრეთითაც აღდგა თითქმის მკვდარი და ქრისტიანობისათვის ჯვარზე ვნებული. მისი მადლი ამჟამადაც უნათებს მას ათეიზმისა და ტოტალიტარიზმის არნახულ ყიანეთში. ბნელეთის მოციქულთა განწირული ცდა პოლიციურ ხერხებით გადაუკეტონ ახალგაზრდობას გზა აღდგომის ნათლისაკენ, მათივე იდეოლოგიის სიმწირესა და უსუსურობაზე მეტყველებს. იმთავითვე მკვდარია იდეოლოგია, რომელიც თვითდამკვიდრებისათვის ძალმომრეობას იშველიებს. ასეთი მკვდარი თავად განელტვის მარადიულობისა და უკვდავების იმპულსს და სხვებსაც აბრკოლებს. მაგრამ სიკეთეს ვერვინ მოუტანს „წიხნაი დეზისაი“, ბნელეთის შეთქმულების ფიასკო გარდუვალია, რამეთუ „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“.

--- --- --- --- ---

თეიმურაზ ჯანელიძე

„მავნე ჩვეულებებთან და ტრადიციებთან“ ბრძოლის ნიღაბით

(მთავრობა კრძალავს რელიგიურ დღესასწაულებს)

1976 წლის *24* ივლისს, მე და ჩემი მეგობარი ჩავედით სვანეთში, მესტიაში რათა *29* ივლისს დავსწრებოდით რელიგიურ დღესასწაულს, კვირიკობას(სვანურად ლაგურკობას), რომელიც ტარდება ყოველწლიურად სოფელ კალაში, მესტიიდან ოცდაათ კმ. დაშორებით. ეს დღესასწაული პოპულარულია არა მარტო სვანეთში, არამედ მთელ საქართველოში, შესაძლოა მის ფარგლებს გარეთაც. ამაში დავრწმუნდი, როდესაც ვნახე საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული, ამ დღესასწაულით დაინტერესებული ადამიანები. ცხადია ყველას ერთი შეხების წერტილი არ ექნებოდა წმინდა კვირიკეს და ივლიტას დღესასწაულთან. მაგრამ დაკვირვებული თვალი და ყური შეამჩნევდა იმასაც, რომ ხალხს უბრალო ცნობისმოყვარეობა როდი ამოძრავებდა, თუმცა, ცხადია, ასეთებიც იქნებოდნენ.

ესმოდა, თუ როგორ ამკობდა კომკავშირელი მუშაკი უცენზურო სიტყვებით. ბავშვიან ქალს ძაღლი არ შეუყეფს, ყაჩაღიც თვინიერდება მის წინაშე. მთელი მსოფლიო ითაყვანა დედისა და ჩვილის მარადიულმა ხატებამ, დედა ღვთისმშობელმა იესოთი. სწორედ მისდამი ქვეცნობიერი ანტიპატია წარმოაჩინეს კომკავშირლებმა ანაზდეულად. ისინი ბავშვის ტაძრად შეყვანამ გააცოფა განსაკუთრებით. მათი ამგვარი საქციელი გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფო იდეოლოგიის კონტროლი ნეოჰეროდიანული აქტია, რომელიც მეფობის დაკარგვის შიშით ფიზიკურად როდი ჰკლავს ბავშვებს, არამედ აკვნიდანვე იდეურად აკაბალებს და ამახინჯებს მათ.

28 ივლისს შევიტყვეთ, რომ მესტიიდან კალაში მიმავალი ერთადერთი საავტომობილო გზა გადაკეტილია ხერგილით, სადაც სადარაჯოთ ჩაეყენებიათ მილიციის თანამშრომლები. ჩვენ, ე.ი. მე, რევაზ ჩიტაშვილმა(თბილისის კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკ. სტუდენტი), რო�sანდ ჩხეტიანმა(ერთერთი გეოლოგიური პარტიის უფროსი სვანეთში), ნუგზარ ჩხეტიანმა (მესტიის მთავარი არქიტექტორი), გივი გეგეშიძემ(ასპირანტი არქიტექტორი) და თბილისის კონსერვატორიის დოცენტის, ოთარ ჩიჯავაძის ექსპედიციის ჯგუფის ოთხმა წევრმა, რომელნიც მოვლინებული იყვნენ აქ ქართული სვანური ხალხური სიმღერების შესაგროვებლად, სულ ცხრა კაცმა, გადავწყვიტეთ მიგვემართნა თხოვნით მესტიის პარტიის რაიკომის პირველი მდივნისათვის, სარაღიძისათვის, რათა მას ნება დაერთო რომელიმე მანქანის მძღოლისათვის გადავეყვანეთ მესტიიდან კალაში. როდესაც მან შეიტყო ჩვენი, ე.ი. ზემოხსენებული ცხრა კაცის მასთან კაბინეტში მისვლის მიზეზი, უარყოფითი პასუხი შეგვაგება. მან გვითხრა: „მე თქვენი გულისთვის ვერ შევცვლი ჩემს განკარგულებას იმის შესახებ, რომ 28 - 29 ივლისს აიკრძალოს გასვლა მესტიიდან კალაში“. თანაც დასძინა: „ჩვენ ვართ ათეისტები, ჩვენ ვებრძვით ყოველგვარ ცრურწმენას, რომელიც მივიღეთ წარსულიდან. ასეთი რელიგიური დღესასწაულების ხალხმავლობა კი სტიმულს აძლევს ცრუმორწმუნეებს. ამიტომ ჩვენ ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ, რათა ხალხში აღმოვფხვრათ მავნე გადმონაშთები“. როდესაც მე შევახსენე, რომ საბჭ. კონსტიტუციით ადამიანს აქვს მინიჭებული სინდისის სრული თავისუფლება, მან მიპასუხა: „ვის გაუგია უსინდისოების სინდისიო“. იგი გულისხმობდა მორწმუნეებს. შემდეგ მან აგვიწერა თუ რა ვითარებაში ტარდება ეს დღესასწაული. თითქოს ადგილი აქვს ურთიერთის დანით დაზიანებას, ღრეობას და ა.შ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც დაჟინებით ვთხოვდით სარაღიძეს დაგვხმარებოდა, რადგან ჩვენი ძირითადი მიზანი იყო მოგვესმინა და ჩაგვეწერა სვანური სიმღერები ხალხის თავყრილობის ბუნებრივ გარემოში და უფრო ახლოს გავცნობოდით ხალხის ხასიათს. და ბოლოს, მართლაც გვეწადა თავადვე დავრწმუნებულიყავით სარაღიძის მონათხრობის სისწორეში. ნუთუ ისე გადაგვარდა ეს ამაყი და ვაჟკაცური ხალხი, რომ უაზრობად აქციეს ჩვენი წინაპრების სათაყვანებელი დღესასწაული. უფრო მეტიც, ნუთუ ჩხუბის, გინების აყალმაყალის, შურისძიების პოლიგონად აქციეს მამა-პაპათა საღოცავი ადგილი?... ყოველივე ამან უფრო გაგვიღვივა სურვილი მოვხვედრილიყავით კვირიკობაზე. სარაღიძემ გვითხრა ბოლოს: “თუ რომელიმე მძღოლი თავისი ინიციატივით წაგიყვანთ, მე მას არ დავსჯიო“. მართლაც ვნახეთ ავტომანქანა, რომლის მძღოლმაც იკისრა ჩვენი წაყვანა. ხერგილის მოდარაჯე მილიციელთა უფროსმაკი, ერთი საათის ხვეწნა-მუდარის შემდეგ ხერგილი გაგვიხსნა; მხოლოდ მძღოლი გააფრთხილა მკაცრად, რომ იმავე საღამოს დაბრუნებულიყო, თორემ ვინმემ რომ გნახოს, უსიამოვნება შეგვემთხვევა მეცა და შენცო.

კვირიკობაზე ჩვენ გავხდით მოწმე უმაგალითო წესრიგისა. საყდრის გალავანში ცალკ-ცალკე ისხდნენ სვანეთის სხვადასხვა საზოგადოების წევრები~ „უშგულის საზოგადოება“, „მესტიის საზოგადოება“, „მულახის საზოგადოება“, „კალის საზოგადოება“ და ა.შ. ისხდნენ დარბაისლურად, ამაყად მზირალი და მეროდნენ შესანიშნავ, ასევე ამაყ და ვაჟკაცურ სვანურ სიმღერებს. მეროდნენ ზედმიწევნით ზუსტად, შეთანხმებულად, ზვიადად. აქ მართლაც იყო ქიშპობა, თუ ვინ უკეთესად იმღერებდა, ვინ უკეთ იცეკვებდა, ვინ ვის აჯობებდა უზარმაზარი ღოდების აწევაში, ვინ ვის აჯობებდა თავაზიანობაში, სტუმრების პატივისცემაში, კაცურ კაცობაში და არა გინებაში, ჩხუბში, ლაზღანდარობაში და დანის ტრიალში, როგორც ეს სარაღიძემ წარმოგვისახა.

წმინდა კვირიკეს, ლაგურკას სახელზე შეწირული ფულის დიდი ნაწილი ხმარდება საყდრისა და მისი გალავნის შეკეთებასა და რესტავრაციას, ნაწილი კი მომავალი წლის დღესასწაულის მოწყობას.

ადგილობრივ ხალხში საუბრიდან შევიტყვეთ, რომ ამ დღეს ხდება ერთმანეთზე გადამტერებული ადამიანების შერიგება. თუ აქ მოსული ადგილობრივი კაცი ურიგოდ მოიქცევა, იჩხუბებს ან სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებს სხვას, მას აჯარიმებენ ფულით ან საქონლით, რომელიც ხმარდება ლაგურკის დღესასწაულს. თუ ჩამოსული სტუმარი დაარღვევს წესრიგს, მას აძევებენ კალიდან. არ შემიძლია დუმილით აუარო გვერდი ერთ მომენტს, რომელმაც ჩვენში ირონიული ღიმილი გამოიწვია. როდესაც დაიწყო საეკლესიო დროის გამოტანის ცერემონია, ჩვენ დავინახეთ წითელი ფერის ბაირაღი და ჯვარი. მართლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აც და საოცარი პარადოქსია წმინდა კვირიკეს დღესასწაული და წითელი ფერის ბაირაღი. თურმე ნუ იტყვით, ამ სამი-ოთხი წლის წინად მთავრობის წარმომადგენლებმა იძულებითაც შეაცვლევინეს ტრადიციული თეთრი ფერის ბაირაღი წითელით. ასეთია ის რეალური სურათი, რისი მოწმენიც ჩვენ გავხდით. იმ კარგსა და სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რაც ჩვენ მივიღეთ ამ დღესასწაულზე ჯოფნისას, ჩრდილად გასდევს ის ხელოვნური დაბრკოლებები და უსიამოვნო საუბარი, რომელიც გვქონდა მესტიის პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან, რადგან ეს იყო ცდა ცხოვრებაში გაეტარებინათ საქ. მთავრობის ის დადგენილებები, რომელთაც ეწოდებათ „მავნე ტრადიციებთან ბრძოლა", „წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლა" და ა.შ. დიდი გამჭრიახობა არ ჰრის საჭირო , რომ დაინახო, თუ რას გამოეცხადა ბრძოლა. მავნე ტრადიციებთან ბრძოლის ნიღაბით, ახალი ძალით შეუტიეს რელიგიას. იმ რელიგიას, რომელმაც დაგვიფარა და დღემდე გაგვაძლებინა. შეუტიეს იმ სარწმუნოებას , რომელიც ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი ქართველ მამულიშვილებს. შეუტიეს ქრისტეს და ქრისტიანობას, რომლის სახელითაც თოთხმეტი საუკუნე იცავდნენ ქართველი ვაჟკაცები თავიანთ ეროვნულობას, თავიანთ კულტურას, თავიანთ მიწა- წყალს. ნუთუ ცრუმორწმუნეები იყვნენ ისინი, რომელნიც ქმნიდნენ სვეტიცხოველს, ჯვარს, ალავერდს, ყანჩვისს, ნიკორწმინდას, ვინც ქმნიდა ვარძიისა თუ დავით-გარეჯის უნიკალურ ფრესკებს. ვინც ქმნიდა ჩვენს უმდიდრეს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, დიდებულ ქართულ საგალობლებს? ნუთუ ცრუმორწმუნე იყო „ფეფხისტყაოსნის" ავტორი? თუ ეს ასე არ არის, მაშ რად ეძახიან დღეს ჩვენში იგივე მრწამსს ცრურწმენას და ებრძვიან მას? რატომ ისწრაფვიან ამოძირკვონ ადამიანში ის, რამაც ესოდენ განუმეორებელი კულტურა ააღორძინა? ებრძოლო რელიგიას, ეს ნიშნავს ებრძოლო კულტურასაც, რომლის ბეჭედიც მას აზის, ებრძოლო წარსულს, რადგან კულტურა გარდასულ ჟამიდან იღებს დასაბამს. წარსულის გარეშე კი არ არსებობს არც აწმყო, არც მყოობადი.

=== === === === ===

რელიგიის მდგომარეობა საქართველოში (დოკუმენტი)

(ეს ცირკულერი გადმოღებულია რუსულ ჟურნალ „ვესტნიკ" **№122** მესამე ტრიმესტრი **1976**)

საქართველოს სსრ. უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლების სამინისტრო,

139.-76 n 96 - 05 - 231 |3

საიდუმლო

.....

საქ. ს.ს.რ. უმაღლესის რექტორებს, საშუალო სპეციალური სწავლების დაწესებულებების დირექტორებს

საქ. კ.პ.ც.კ-ის **24** ნოემბრის **1975** წლის დადგენილება , „მავნე ტრადიციების და ჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებზე" გახდა მნიშვნელოვან დოკუმენტად რელიგიის და ეკლესიის გავლენისაგან ახალგაზრდობის დაცვის საქმის გაუმჯობესებაში. გაწეული მუშაობა, ადგილობრივ საბჭოების, კომკავშირების და პროფკავშირების ორგანიზაციების იდეოლოგიური კოლექტივების, საქალაქო და რაიონული აღმასკომების, რათა დაცულ იქნას კანონიერება რელიგიური კულტების დარგში, ჯერ კიდევ არ არიან დამაკმაყოფილებელი. რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქებში და სოფლებში ზოგიერთი კულტის მსახური და ასევე ფანატიურად განწყობილი მორწმუნეები, სექტანტები ყოველ საშუალებას ხმარობენ მიიზიდონ ახალგაზრდობა და მოზარდები რელიგიაში. ახალგაზრდობა რომელიც ვარდება რელიგიის გავლენის ქვეშ, კვლავ არაყოველთვის იმყოფებიან სასწავლო დაწესებულებების ფხიზელ ყურადღების და მზრუნველი კონტროლის ქვეშ სადაც ისინი სწავლობენ. ამასთან დაკავშირებით, ალმზრდელობითი ანტირელიგიური მუშაობა მოითხოვს ფრთხილ, აზრიან განმარტებით პროპაგანდას, მოსწავლე ახალგაზრდობის შორის.

ახალგაზრდობის მონაწილეობა რელიგიურ ცერემონიალებში განსაკუთრებით შესამჩნევად მატულობს რელიგიურ დღესასწაულების დროს და მისაღებ გამოცდების პერიოდში. ზემოდ თქმული ადასტურებს, რომ უმაღლესი და საშუალო განათლების რექტორებმა, დირექტორებმა, პარტორგანიზაციის მდივნებმა, პროფკავშირის თავმჯდომარეებმა და კომკავშირის ორგანიზაციების მდივნებმა აუცილებლად უნდა გააძლიერონ ანტირელიგიური პროპაგანდა. თვითეულ ყმაწვილს, რომელიც მოხვდება რელიგიის გავლენის ქვეშ, უნდა გაეწიოს ინდივიდუალურად სისტემატიური, ძიზიზმრივი მუშაობა, რათა განემარტოს, რომ დღევან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი, მეცნიერული მსოფლმხედველობა შეუთავსებელია რელიგიურ რწმენასთან. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ რესპუბლიკაში მოქმედებენ თხუთმეტი სხვადასხვა რელიგია, ეკლესია და სექტა. უკანასკნელ წლებში დიდათ მატულობს ბაპტისტების რიცხვი, განსაკუთრებით ქ. თბილისში, სადაც მათმა რიცხვმა გადააჭარბა *1500* კაცს, ხოლო რესპუბლიკაში *2100* კაცზე მეტია. ანალიზი გვიჩვენებს რომ უკვე დღეისათვის ბაპტისტების ორი მესამედი ქართველებია. მარტო თბილისის საზოგადოებაში ქართველ ბაპტისტების რიცხვი *874* კაცია. ეს ორჯერ მეტია ვიდრე რუსულ, სომხურ და ოსურ ჯგუფების.

საჭიროა გადამწყვეტი ზომები ახალგაზრდებს შორის რელიგიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის უმაღლეს და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების ყველა იდეოლოგიური მუშაკებისაგან.

კოლეგიის წევრი, ახალგაზრდობის იდეურ - პოლიტიკურ
აღზრდის სამმართველოს უფროსი **ვ.რ. ასათიანი.**

xxx xxx xxx xxx xxx xxx

დავით მე-5 ს გარდაცვალება

1977 წლის ცხრა ნოემბერს, *74* წლის ასაკში, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი დაით მე-*5*.

15 ნოემბერს, თბილისის სიონის ტაძარში გადახდილი იქნა განსვენებულ პატრიარქის პანაშვიდი რის შემდეგაც ის დაასაფლავეს სიონის ტაძარშივე. პანაშვიდსა და დასაფლავებას დიდძალ ქართველობასთან ერთად დაესწრნენ: მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, სომხეთის ეკლესიის პატრიარქი ვაზგენ პირველი, საბერძნეთის, ვატიკანის, ესტონეთის, ბულგარეთის, ეგვიპტის და სხვა ქრისტიანულ ეკლესიების წარმომადგენლები. ეს ამბავი მოწმობს: მიუხედავად დღევანდელი დაჩაჩანაკებისა და შევიწროების, საქ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია გარშემორტყმულია ქართველი ხალხის მზრუნველობით და მსოფლიო ეკლესიების პატივისცემით. საჭიროა აქედან სათანადო დასკვნა გააკეთონ საქ. დღევანდელმა მესვეურებმა. საჭიროა ეკლესიას მიანიჭონ მეტი თავისუფლება, მეტი ავტონომია და მეტი საშუალებები პრესით, რადიოთი და ტელევიზიით სარგებლობისა. სამარცხვინოა რომ საქ. საპატრიარქოს არ გააჩნდეს თავისი პერიოდული ბეჭდვითი ორგანო. სამარცხვინოა, რომ პატრიარქის გარდაცვალებას გაზ. „კომუნისტი" სულ პაწაწინა განცხადებით ამცნობდეს, რომ საქართველოს რადიო და ტელეხედვა კრინტს არ ძრავდეს ასეთ მნიშვნელოვან ამბავზე.

--- --- --- --- --- --- --

საქართველოს ახალი კათალიკოს-პატრიარქი

სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის უპატრონოდ დარჩენილ ტახტზე აყვანილ იქნა ცხუმის და აფხაზეთის მიტროპოლიტი ი ლ ი ა (შიოლაშვილი), ხოლო კვირას, *25* დეკემბერს, მცხეთის საკათედრო ტაძარ სვეტიცხოველში ადგილი ჰქონდა მისი ხელდასხმის ზეიმს, რომელშიც საქ. წმინდა სინოდის მიტროპოლიტების და ეპისკოპოსების გარდა მონაწილეობა მიუღია რუსული მართლმად. ეკლესიის დელეგაციას, მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქის პიმენის მეთაურობით, სომხური სამოციქულო ეკლესიის დელეგაციას სრულიად სომეხთა უმაღლესი პატრიარქ - კათალიკოსის ვაზგენ პირველის მეთაურობით, აღექსანდრიის (ეგვიპტე) მათლმად. ეკლ. მუდმივი წარმომადგენელი ოდესაში არქიმანდრიტი გრიგოლი, ბულგარული მართლმად. ეკლეს. მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში არქიმანდრიტი ნაუმი და სხვას.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ილია შიოლაშვილი ყოველმხრივ, შემკული საეკლესიო მოღვაწეა და მისი არჩევა სრულიად საქ. მართლმად. ეკლესიის მწყემსად მისასალმებელია. ახალ კათალიკოსს მძიმე და ძნელი მემკვიდრეობა ერგო. ცნობილია აწ გარდაცვლილი პატრიარქი და მისი ახლო თანამშრომლები მკაცრ კრიტიკას განიცდიდენ თვით მორწმუნე მრევლის წევრებისაგან. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, საბჭ. ხელისუფლების ორგანოებმა, წარსულში დიდებული ივერიის ეკლესია მის აჩრდილადღა აქცეს. მათ შეძლეს მის წიაღში ეკლესიის ცრუმსახურთა შეპარება და მით, განუწყვეტელ რეპრესიებით ისედაც წელგატეხილ ინსტიტუტს, კიდევ უფრო სახელი გაუტეხეს და გავლენა დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგეს. ახალ პატრიარქ ილიას დასჭირდება უღრმესი რწმენა და ხასიათის არაჩვეულებრივი სიმტკიცე თავისი მაღალი მისიის წარმატებით განხორციელებისათვის. ღმერთმა ბევრ-მას ეს თვისებები უხვად აღმოჩენოდეს. ჩვენდათავად, მას ვუსურვებთ სრულ წარმატებას ივერიის დიდებულ ეკლესიის საკეთილდღეოდ

ამთავითვე საჭიროდ მიგვაჩნია ერთი შენიშვნის გაკეთება, 27 დეკემბრის გაზ. „კომუნისტში" დაბეჭდილ „საქინფორმის" ცნობის მიხედვით: „თბილისის სიონის საკათედრო საპატრიარქო ტაძარში გაიმართა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთორმეტე საეკლესიო კრება, რომელიც მიეძღვნა ამას წინად გარდაცვლილი კათალიკოსის დავით მეხუთის ნაცვლად ახალი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევას.

საეკლესიო კრებაში მონაწილეობდნენ ქართული მართლმად. ეკლესიის ყველა საეპისკოპოსოს დელეგატები, აგრეთვე სტუმრები – რუსული მართლმად. ეკლესიის დელეგაცია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პიმენის მეთაურობით და ბულგარული მართლმად. ეკლესიის დელეგაცია მოსკოვში ბულგარული მართლმად. ეკლესიის მუდმივი წარმომადგენლის არქიმანდრიტ ნაუმის მეთაურობით.

ფარული კენჭისყრით საეკლესიო კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ქართ. მართლმად. ეკლესიის მეთაურად აერჩიათ სრულიად საქ. კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ცხუმისა და აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი)"... აქ მოტანილი ამბიდან შესაძლებელია ორი შემთხვევა, რუსული და ბულგარული ეკლესიების წარმომადგენლები ახალი პატრიარქის ამომრჩეველ კრებას დაესწრნენ როგორც მეთვალყურენი, ანდა როგორც სრულუფლებიანი მონაწილენი. ამ მეორე ჰიპოთეზის შემთხვევაში ადგილი აქვს საქ. მართლმად. ქრისტიანულ ეკლესიის ავტოკეფალიის აშკარა დარღვევის ფაქტს. იმედია ახლო მომავალში ეს საკითხი გაირკვევა და ჩვენი ეჭვი უსაფუძვლო გამოდგება.

მწუხარებით ვაუწყებთ:

1976 წლის *13* ოქტომბერს ქ. მონბელიარში(დუბის დეპარტ. საფრანგეთი) გარდაიცვალა **მიშა ჯინჭარაძე.**

--- --- --- --- --- ---

წელს, ოთხ თებერვალს, სოფ. აშერ-ლე-მარშეში(ლუარეს დეპარტ. საფრანგეთი), ღრმად მოხუცებულობაში გარდაიცვალა **იოსებ გოგოლაშვილი.**

--- --- --- ---

წელს, *10* თებერვალს გარდაიცვალა და *17* თებერვალს ლევილის სასაფლაოზე დაკრძალეს ქალბატონი **მია ქავთარაძისა.**

--- --- --- ---

წელს, *15* თებერვალს გარდაიცვალა პარიზში და *20* თებერვალს ლევილის სასაფლაოზე დაკრძალეს ქალბატონი **მარიამ ღოღობერიძე.**

--- --- --- ---

წელს, თებერვალში, ლონდონში გარდაიცვალა ქალბატონი **მარიამ**(მანია) **მიქელაძე.**

--- --- --- ...

წელს, *25* თებერვალს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა **ალექსანდრე**(საშა) **ტარსაიძე.**

ღრმა მწუხარების გამომხატველ სამძიმარს ვუცხადებთ მგლოვიარე ჭირისუფლებს.

შემოსავალ - გასავლის ანგარიში (ორანგოლ ფრანკებში)

ელენე და შალვა ცინცაძეები	---	*473,25*	ლეო ჭეიშვილი	.....	*100,00*
ოთარ პატარიძე	.....	*100,00*	კრისტეფორე იმნაიშვილი	...	*50,00*
ალეესი აბაშიძე	.....	*50,00*	კონსტანტინე ალშიბაია	...	*100,00*
თამარ პატარიძე	.....	*50,00*	მიშა ხუნდაძე	.....	*150,00*
მელიტონ ყენტი	.....	*100,00*	ვიტალი უგრეხელიძე	.....	*17,80*
შ. გადმოხვეწილი	.....	*236,75*			

შემოსავლის ჯამი *1427,80*

მე-*19* ნომრის მთლიანი ხარჯები იყო *1969,46* ფრ. იქ გამოცხადებულ ანგარიშით საღაროს აკლდა *1318,53* ფრ. ამრიგად საღაროს დანაკლისია *1860,19* ფრ. და ამ ნომრის ხარჯები.